



# შირაკი

## SHIRAKI

www.open.ge

გამოქვეყნდა 1937 წლიდან

დაქვეყნდა საქართველოს მთავრობის დასავლეთი განყოფილების მიერ

№5 (9.619)

22 თებერვალი-1 მარტი 2014 წელი

ფასი: 50 თეთრი

ყოველკვირეული გამოცემა

## „შეერთდა სიკვდილი ცელით“ ...



საქართველოს ეროვნული საბჭოს მიერ დამოუკიდებლობის გამოცხადებიდან (1918 წლის 26 მაისი) სამ წელში, 1921 წელს საბჭოთა რუსეთის ხელმძღვანელობამ ძალის გამოყენებით საქართველოს დაპყრობის გადაწყვეტილება მიიღო.

1921 წლის 11 თებერვალს, 4 საჯაროსო ერთეულისგან შემდგარი წითელი არმია საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას თავს ერთდროულად ხუთი მხრიდან დაესხა. ორი ძირითადი შეტევა აღმოსავლეთიდან (აზერბაიჯანი) და სამხრეთ-აღმოსავლეთიდან (სომხეთი) განხორციელდა. სამი დანარჩენი თავდასხმა კავკასიონის მთე-

ბიდან დარიალის და მამისონის გავლით და შავი ზღვის ნაპირის გასწვრივ მოხდა.

რუსეთის მე-11 არმიას ქართული ჯარი, სახალხო გვარდია და მოხალისეები თბილისის მისადგომებთან აღუდგნენ. ძირითადი ბრძოლები კოჯრისა და ტაბახმელას მიდამოებში გაიმართა.

მე-11 არმიას იუნკერებმა დიდი წინააღმდეგობა გაუწიეს. მათ ერთხანს კიდევ უკუაგდეს მტერი. თუმცა განახლებული შეტაკებების შედეგად იუნკერთა დიდი ნაწილი ბრძოლის ველზე დაეცა. თბილისის მისადგომებთან ბრძოლაში მოხალისედ წასული, პოეტ კონსტანტინე მა-

ყაშვილის 20 წლის ქალიშვილი მარო მაყაშვილიც დაიღუპა. ის ყუმბარის ნამსხვრევით სასიკვდილოდ დაიჭრა კეფაში.

ამ დიდ ძალას საქართველოს დემოკრატიულმა რესპუბლიკამ ყველა ფრონტზე დაახლოებით 40 000 კაციანი არმია დაუპირისპირა (მუდმივი ჯარი და სახალხო გვარდია). სამწლიანი დამოუკიდებლობის განმავლობაში საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას დასავლეთიდან არც ერთი თოფი ან ამუნიციაც კი არ მიუღია. ქვეყანას საერთოდ არ ჰყავდა ავიაცია და ტანკები. ასე რომ, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის წარმატების შანსი ძალ-

ზე მცირე იყო. მიუხედავად მისი არმიის გასაოცარი გამირობისა, ქვეყანამ ვერ გაუძლო საბჭოთა შემოსევას, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც ამ ომში თურქეთი საბჭოთა რუსეთის მხარეს ჩაება. აღსანიშნავია, რომ იმ დროს ქვეყანა თურქეთის საბჭოთა რუსეთთან მეგობრული ურთიერთობა ჰქონდა, რომლისგანაც იგი იარაღითა და აღჭურვილობით დახმარებას იღებდა საბერძნეთისა და მისი მოკავშირეების წინააღმდეგ.

23 თებერვალს კოჯრისა და ტაბახმელას ტერიტორიაზე ბრძოლები შეწყდა.

1921 წლის 25 თებერვალს კი საბჭოთა რუსეთის მე-11 წითელი არმია თბილისში უბრძოლველად შემოვიდა. მოკავშირეების გარეშე, ბედის ანაბარად მიტოვებულმა ქვეყანამ ვერ გაუნია სათანადო წინააღმდეგობა რუსეთის არმიას, რომელმაც დაიკავა საქართველოს დედაქალი და აქ საბჭოთა ხელისუფლება გამოაცხადა. ქვეყანამ სუვერენიტეტი დაკარგა. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა ბათუმში გადავიდა, ხოლო იმავე წლის მარტში დატოვა საქართველო და ემიგრაციაში წავიდა. მებრძოლ იუნკერებს სამშობლო არასოდეს დაუტოვებიათ.

კოჯრის მახლობლად გმირულად დაღუპული იუნკერები დიდი პატივით დაკრძალეს ეკლესიის ეზოში, იქ, სადაც ამჟამად საქართველოს პარლამენტის შენობა მდებარეობს. აღნიშნული ტაძარი კი (აგებული 1897 წ.) 1930 წელს კომუნისტური იდეოლოგიისა და რეჟიმის შედეგად დაანგრეს.

1921 წლის 6 მარტს სა-

ქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამფუძნებელმა კრებამ ბათუმში ბოლო სხდომა ჩაატარა და რესპუბლიკის მთავრობას ქვეყნის დატოვება, ევროპაში გამგზავრება და იქიდან ქვეყნის დამოუკიდებლობის აღდგენაზე ზრუნვა უბრძანა. მთავრობამ ქვეყანა მეორე დღესვე დატოვა, რუსეთის ჯარი კი ბათუმში 20 მარტს შემოვიდა. ასე რომ, ლალატის, ვერაგობისა და სასტიკი ძალის გამოყენებით კომუნისტურმა რუსეთმა ბოლო მოუღო რესპუბლიკის დამოუკიდებლობას, ისევე როგორც ცარისტულმა რუსეთმა 120 წლით ადრე, 1801 წელს.

თავდაპირველად, კომუნისტებმა სცადეს ყველაფერი ისე წარმოეჩინათ, რომ, თითქოსდა, საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში შეჭრასთან მათ საერთო არაფერი ჰქონდათ. სხვა საბუთი რომ არ არსებობდეს, ამ სიცრუის წინააღმდეგ ის ფაქტიც საკმარისი მტკიცებულება იქნებოდა, რომ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ჯარების მიერ აყვანილი ყოველი ტყვე ძირითადად რუსეთის პროვინციებიდან წამოსული ეთნიკური რუსი იყო, და ის, რომ თითოეული მათგანი რუსეთის რეგულარულ არმიაში მსახურობდა. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის ნ. ყორდანის არაერთი მიმართვა საბჭოთა მთავრობისა და პირადად ლენინისადმი სისხლისღვრის შეჩერების და ყველა საკითხზე შეთანხმების შესახებ უპასუხოდ დარჩა.

მოსკოვს განზრახული ჰქონდა საქართველოს დემოკრატიული (გაგრძელება გვ.3)

## მთავრობამ სოფლის მხარდაჭერის პროგრამა დაამტკიცა

საქართველოს მთავრობამ სოფლის მხარდაჭერის 50-მილიონლარიანი პროგრამა დაამტკიცა.

ამის შესახებ მთავრობის სხდომიდან გამოსულმა რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრმა, დავით ნარმანიამ ჟურნალისტებს განუცხადა.

მისი ინფორმაციით, პროგრამის მიხედვით ყველა მუნიციპალიტეტში არ-

სებულ თითოეულ სოფელს დაფინანსება მოსახლეობის რაოდენობის შესაბამისად გამოეყოფა. თანხა სხვადასხვა სახის ინფრასტრუქტურული პროექტების შესრულებას მოხმარდება. ლაპარაკია, წყალმომარაგების, გზების მოწესრიგების, საბავშვო ბაღების სარემონტო და სხვა სამუშაოების დაფინანსებაზე.

„ჩვენი სამინისტროს თა-

ნამშრომლები მუნიციპალიტეტებში იმყოფებიან, სადაც სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში სოფლის რწმუნებულებისათვის ტრენინგები იმართება. ამის შემდეგ სოფლის კრებები დაიწყება. ადგილობრივ მოსახლეობას მოვუწოდებთ, ამ პროცესში აქტიურად მიიღონ მონაწილეობა, რათა იმ პრობლემების მოსაგვარებლად საჭირო პროექტები

დაფინანსდეს. პროექტების სწორად შესარჩევად მათი აქტიურობა მნიშვნელოვანია. ასევე ვთხოვთ არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებსა და სხვა დაინტერესებულ პირებს, პროგრამის მონიტორინგის პროცესში მუქიმაღურად ჩაერთონ, რათა პროცესები პროგრამის ფარგლებში დამტკიცებული ინსტრუქციის შესაბამისად წარიმართოს“,

- განაცხადა დავით ნარმანიამ.

მისი თქმით, სოფლის კრებების დასრულების შემდეგ რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო მიღებულ ინფორმაციას შეაჯამებს. ამის საფუძველზე კი კონკრეტული მუნიციპალიტეტებისა და სოფლების დაფინანსების გადაწყვეტილება მიიღება.

**მზის ჩასვლის უამდავ**

მზის ჩასვლის უამდავ

გვ. 4

**რა არის ბიო ნარკოტიკი?**

გვ. 5

**კანონი და საბჭოთა სიმბოლიკა**

გვ. 3-8

**საქართველოს სუთი ჩემპიონი უუ-სანდაში**

გვ. 2



# დედოფლისწყაროს მალე ახალი გამგებელი ეყოლება

დედოფლისწყაროს საკონკურსო საატესტაციო კომისიამ გამგებლის ვაკანტურ ადგილზე გასაუბრების ფორმით ჩატარებული კონკურსის შედეგები შეაჯამა და საკრებულოს თავმჯდომარეს წარუდგინა ნიკოლოზ ჯანაშიას კანდიდატურა. უახლოეს მომავალში საკრებულო დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგებელს დაამტკიცებს.

# მამა იოანეს და მამა გიორგის საფლავები გახსნეს

20 თებერვალს ბეთანიაში მამა გაბრიელის მოძღვრების, მამა იოანეს და მამა გიორგის საფლავები გახსნეს, რომელსაც სრულიად საქართველოს მრევლი და ყვალა მსურველი ესწრებოდა. საფლავების გახსნას ახლობლებთან ერთად ჩვენი თანამემამულე ნინო კობახიძეც ესწრებოდა. წმინდანთა საფლავების გახსნის თაობაზე სწორედ ნინო კობახიძეს ვკითხეთ, საინტერესოა მისი შთაბეჭდილებები ამ ბრწყინვალე დღესთან დაკავშირებით. - „ეს დღე ჩვენი ერისთვის ძალიან მნიშვნელოვანი დღეა ბეთანიიდან სულ ახლახანს დაგვრჩენი და დიდი შთაბეჭდილებების ქვეშ ვიმყოფებით. გაიხსნა წმინდანების - მამა იოანეს და მამა გიორგის საფლავები, რომლებიც იყვნენ მამა გაბრიელის მოძღვრები და ბეთანიის ეზოში იყვნენ დაკრძალულები. საოცარი სანახაობა იყო. პატრიარქი მობრძანდა, ამოაბრძანეს წმინდა ნაწილები, ცნობისამებრ წმინდანთა საფლავში სახარება იყო ჩაყოლებული, რომელიც ისევ დახვდათ სამარეში, ასევე ნახეს ხის გაუხრწნელი ყავარჯენი, და წმინდა სხეულის ძვლები, წმინდა ნაწილები, 22 თებერვალს კი ხსნიან მამა გაბრიელის საფლავს. ხოლო შემდეგ, წმინდანთა ნაწილების წმინდა სამებაში გადმობრძანება მოხდება. საქართველოს უბრწყინვალესი დღეები უდგას. მჯერა, ჩვენზე უამრავი მადლი გადმოვა,“-ამბობს ჩვენთან საუბარში ნინო კობახიძე.

ლალი მისერიშვილი

# საქართველოს ხუთი ჩემპიონი უშუ-სანდაში

8-9 თებერვალს ჩატარდა საქართველოს რიგით XI-ე ეროვნული ჩემპიონატი უშუ-სანდაში, სადაც წარმოდგენილი იყო დედოფლისწყაროს ნაკრები გუნდი მწვრთნელის, გიორგი ცისკარაულის ხელმძღვანელობით. ჩემპიონატზე რვა სპორტსმენი იღებდა მონაწილეობას.

რვიდან ხუთამდე დედოფლისწყაროელმა სპორტსმენმა საქართველოს ჩემპიონის ტიტული მოიპოვა. ესენი არიან. ბექა გონაშვილი, ლუკა პოპიაშვილი, ნიკა ჩიტაშვილი, სერგო შეტროსიანი და ლევან თეთრაული.

მეორე ადგილები მიხეილ ნიკლაურმა და კახა კარატიელმა დაიკავეს, ხოლო მესამე ადგილი ლევან ნიკლაურს ხვდა წილად.

სპორტსმენების მწვრთნელი მილნეული შედეგებით კმაყოფილია, თუმცა გაზეთ „შირაქთან“ სხვადასხვა შემთხვევებზე გარემოებებზე საუბრობს.

„ლუკა პოპიაშვილმა და ბექა გონაშვილმა სულ ახლახანს დაიწყეს ვარჯიში და უკვე საქართველოს ჩემპიონები არიან, რაც ასე მოკლე პერიოდში დიდი შედეგია და დედოფლისწყაროს კლუბისთვის იმდენი მომცემია. როგორც ყოველთვის ამჯერადაც გამოირჩეოდა ნიკა ჩიტაშვილი. მისი ბრძოლა ერთ-ერთი საუკეთესო იყო ამ შეჯიბრის განმავლობაში, მან ორი მონინალმდევე აშკარა უპირატესობით დაამარცხა და ჩემპიონის ტიტულს დამსახურებულად დაუფლა. ზოგადად, უნდა აღინიშნოს, რომ ნიკა დედოფლისწყაროდან და მთლიანად კახეთის რეგიონიდან სპორტის ამ სახეობაში ყველაზე წარმატებული სპორტსმენია. მან უკვე ზედიზედ მესამედ მოიპოვა საქართველოს ჩემპიონის ტიტული. ხოლო, რაც შეეხება ლევან თეთრაულს, ის საქართველოს შეიარაღებულ ძალებში მსახურობს. ლევანი სულ ახლახანს დაბრუნდა ავღანეთის სამშვიდობო მისიიდან და სულ რამდენიმე ვარჯიშზე შეძლო დასწრება. მოგესხენებათ, საბრძოლო ხელოვნებაში რაოდენ ძნელია რამდენიმე თვის განმავლობაში ვარჯიში ჩააგდო, შემდეგ კი პირდაპირ ჩემპიონატზე გახვიდე, მაგრამ მან დასახულ ამოცანას თავი კარგად გაართვა. მან აბსოლუტურ 90+ კგ წონით კატეგორიაში თავისზე ასაკით და წონით უფროსი დაამარცხა და ჩემპიონობაც მოიპოვა.

აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ ასეთი შესაშური შედეგების მიუხედავად დედოფლისწყაროს უშუს კლუბს დღემდე არ გააჩნია დაფინანსება. დაპირების მიუხედავად, სპორტსმენებს კვლავაც საკუთარი ხარჯებით უწევთ შეჯიბრებებზე გამგზავრება, რის გამოც ყველა სპორტსმენი ვერ ახერხებს მონაწილეობის მიღებას. ბევრ მათგანს არ აქვს ამის ფინანსური შესაძლებლობა, ეს კი მოზარდებს მოტივაციას უკარგავს,“- განუცხადა გაზეთ „შირაქს“ მწვრთნელმა გიორგი ცისკარაულმა.

შეჯიბრების ორგანიზატორი იყო საქართველოს უშუს ეროვნული ფედერაცია.

ილია გარბაყოფლიშვილი

# ირაკლი ღარიბაშვილი ახალგაზრდობას მოუწოდებს

საქართველოს პრემიერ-მინისტრი, პოლიტიკური პარტია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარე ირაკლი ღარიბაშვილი პარტიის წევრებს და აქტივისტებს მიმართავს.

„დღეს გადავდევნეთ პარტიისა და მისი სტრუქტურების განახლების ახალ ეტაპზე და თქვენი მონაწილეობა ამ საქმეში პარტიის ხელმძღვანელობისთვის არის უაღრესად მნიშვნელოვანი. სულ მალე ვინცები რეგიონებში პარტიული კონფერენციების ჩატარებას. მინდა დავავალო პარტიის გენერალურ მდივანს კახა კალაძეს და პოლიტიკურ მდივანს გიორგი ვოლსკის პარტიული კონფერენციების ორგანიზებას. ეს იქნება რეგულარული შეხვედრები ჩვენი პარტიის წევრებთან, მხარდამჭერებთან და აქტივისტებთან.

ამიტომ პარტიის თითოეულ წევრს, თითოეულ აქტივისტს, მოვინდობთ - იაქტიურეთ, მონაწილეობა მიიღეთ ჩვენს შეხვედრებში, პარტიულ კონფერენციებში და თქვენი წვლილი შეიტანეთ მის განახლებასა და გაძლიერებაში. მჯერა, რომ „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“ იქნება პარტია, რომელიც კიდევ ათასობით მხარდამჭერს შემოიკრებს გარშემო, იქნება მათი ინტერესების დამცველი და თავის მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს ჩვენი ქვეყნის დემოკრატიული განვითარების საქმეში.

აქვე, მინდა ვისარგებლო შემთხვევით და მოვუწოდო ახალგაზრდობას - შემოგვიერთდით! მე მსურს თქვენთან ერთად ავაშენო ძლიერი საქართველო“, - აღნიშნულია პრემიერის განცხადებაში.

მისივე განცხადებით, არც ერთი ადამიანი, რომელმაც ერთგულად და თავდაუზოგავად იბრძოდა, და იბრძოლა, უყურადღებოდ და გულნაკლული არ დარჩება.

ბევრ იმ ადამიანს, რომელიც პირველი დღიდან მონაწილეობდა პარტიის მშენებლობაში, აქვს განცდა იმისა, რომ თავდადება სათანადოდ არ დაუფასდათ.მინდა გითხრათ, რომ ეს იმ სირთულეების ბრალი იყო, რომლებიც ქვეყანამ გამოიარა. საბედნიეროდ, ეს სირთულეები ყველამ ერთად ღირსეულად გადავლახეთ. ამიტომ გარწმუნებთ, არც ერთი ადამიანი, რომელმაც ერთგულად და თავდაუზოგავად იბრძოდა, და პირდაპირ ვიტყვი, იბრძოლა ჩვენთან ერთად, უყურადღებოდ და გულნაკლული არ დარჩება.

ჩვენმა პარტიამ ამ ორ წელიწადში თითქმის შეუძლებელი შეძლო - დიდი ძალისხმევითა და თავდაუზოგავი ბრძოლის შედეგად, არჩევნების გზით მოვიდა ხელისუფლებაში და წარმართველი პოლიტიკური ძალა გახდა.

ასეთ წარმატებას, სმირად, მრავალწლიანი გამოცდილების მქონე პოლიტიკური პარტიებიც კი ვერ აღწევენ. ეს არის იმის ნიშანი, რომ ჩვენი პარტია კიდევ უფრო გაძლიერდება, კიდევ უფრო მეტი ეხერგით განავრცობს საქმიანობას და თანამედროვე ევროპული ტიპის პარტიად ჩამოყალიბდება, - პარტიად, რომელსაც ენდობიან მოქალაქეები და რომელიც მათი ინტერესების გამტარებელია“, - ნათქვამია ირაკლი ღარიბაშვილის განცხადებაში.

# უკრაინაში განვითარებულმა მოვლენებმა მთელი მსოფლიო შეძრა

ასზე მეტი გარდაცვლილი, უთვალავი დასახიჩრებული და დაჭრილი მოქალაქე. ასეთია უკრაინაში რამდენიმე თვის წინ დაწყებული მძვირობიანი სამოქალაქო გამოსვლების დღევანდელი შედეგი. ქუჩაში გამოსული უკრაინელი მოსახლეობა მთავრობის გადაადგომისა და ევროინტეგრაციამ შესვლის მოთხოვნით უკვე რა ხანია იბრძვის, თუმცა არც უკრაინის რაღა თმობს თავის რუსულზეგავლენიან პრინციპებს, არც მოსახლეობა თმობს და სისხლის გაღების ფასად რევოლუციისთვისაც მზადყოფნას გამოთქვამდნენ, მდგომარეობა, რომელიც თითქმის სამოქალაქო ომშია გადაზრდილი, სადამდე მივა, არავინ იცის, თუმცა მთელი მსოფლიო რომ შეძრულია ამ საშინელი სადინით, ესიც ფაქტია. ვნახთო, თუ რას ამბობენ ჩვენი თანამემამულეები უკრაინაში მომხდარი ამბების შესახებ.

მთხვეან ნათქვამი, პოეტი, -ფეიქრობ, რომ ის, რაც უკრაინაში ხდება, საშინელება და ხმას უნდა იმძლეოდეს მთელი ცივილიზებული სამყარო. ფეიქრობ, რომ ოლიმპიადა უნდა დატოვოს ყველა ნორმალურად მოაზროვნე ქვეყნის სპორტსმენმა და ამით მინც გამოუცხადონ სოლიდარობა უკრაინას, რომლის მიმართაც ასეთი გულგრილია მსოფლიო. ის რაც უკრაინაში ხდება, იგივე ხვალ ნებისმიერ ქვეყანას შეიძლება დაემუქროს, მითუმეტეს, რომ დიდ გულშემბატკვრობას არ იჩენენ ნაშყვანი ქვეყნები.

თხვეან ლეონიანი, ამერიკაში მცხოვრები ჩვენი თანამემამულე - არ ვიცი, ვინ რას ამბობს და ვის რა აზრი აქვს პოლიტიკურად, მაგრამ ამ მსოფლიოში რაც ხდება, თითქმის ყველაფერს გადმოსცემენ ტელევიზიები, აშუქებენ რაც ხდება უკრაინაში და დარწმუნებული ვარ ყველა უთანაგრძობის უკრაინელ ხალხს, რაც იქ ხდება იმის გამო.

ლევან ჯანაშია, ჟურნალისტი, - ის რაც კივეში ხდება, საშინელება, კლავენ იმ ადამიანებს, ვინც ქვეყნისთვის იბრძვის, უკვე ამდენი თვეა, კვდებიან ადამიანები და ამაზე მსოფლიო მხოლოდ აღმოთვბუნდება. საშინელებაა, ახლა რაც შემოიღო თქვა ისაა, რომ იქ მინდა ყოფნა, მაინც, ჩემი კოლეგების გვერდით... იმედია, ყველაფერი ისე დამთავრდება, როგორც ხალხს სურს,მე მჯერა ამის.

თხვეანთ მონაწილე - ჟურნალისტი, -საშინელება ხდება, დეტალები არ ვიცი, ყველაფერს ვერ ვუყურებ, მაგრამ დაუშვებელი რამ ხდება, უმეტეს მოვლენებს ფეისბუქით და ტელევიზიით ვადევნებ თვალს. იმათთვის კი, ვისაც სჯერა, რომ უკრაინა ორადაა გახლეჩილი, მინდა ვთქვა: - რამდენიმე წუთის წინ დენპროპეტროვსკის ოლქში მთელი სოფელი დაწვას რესტებზე და არ გაუშვა კივეში მატარებელი მინავანი ჯარის შემადგენლობით. ჯარისკაცები და ოფიცრები ჩამოვიდნენ ვაგონებიდან და ადგილობრივებს შეურთდნენ! რუსეთი ცდილობს, სამაგალითოდ დასაჯოს უკრაინა, მაგრამ მე მოხიბლული ვარ ამ ხალხის თავდადებით და შემართებით. შეუძლებელია, ეს ენერგია უკვალოდ დაიკარგოს.

ლალი მისერიშვილი

# ახალგაზრდების ტესტირება კალათბურთში

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის კულტურისა და სპორტის ცენტრის ახალ სპორტულ დარბაზში ჩატარდა ტესტირება - 1996-1997-1998 წლებში დაბადებულ ახალგაზრდებს შორის - კალათბურთში.

ტესტირების მიზანი იყო კალათბურთის პოპულარიზაცია,საუკეთესო სპორტული მონაცემების მქონე ახალგაზრდების შერჩევა და მუნიციპალიტეტის კალათბურთის გუნდის ჩამოყალიბება.

ახალგაზრდებს ტესტირება ჩაუტარეს კულტურისა და სპორტის ცენტრის მწვრთნელმა კაკო მაჩაბლიშვილმა,ზურაბ ჩალაბაშვილმა და ზურა მესხრიშვილმა.

ტესტირება გაიარა 12-მა დამწყებმა სპორტსმენმა.ქულათა რაოდენობა შემდეგნაირად გადაანაწილდა:

ლევან ბუნაშვილი-18 ქულა-პირველი ადგილი, მალვა ოზაშვილი-15 ქულა-მეორე ადგილი, ვანო ნიკლაური-14 ქულა-მესამე ადგილი. ახალგაზრდებს მოენიხათ სპორტული პაეტირობა. აღნიშნულ ღონისძიებას ორგანიზებას უწევდა ცენტრის მთავარი სპეციალისტი სპორტის საკითხებში- მამუკა ალადაშვილი.

# მუნიციპალიტეტის ზირველობა ქუჩის კალათბურთში

2014 წლის 19 თებერვალს,ქ. დედოფლისწყაროს სპორტულ დარბაზში გაიმართა მუნიციპალიტეტის პირველობა ქუჩის კალათბურთში,სადაც მონაწილეობა მიიღეს სოფლების- ზემო ქედის,არბოშიკის,ოზანის,ზემო მაჩხანის, გამარჯვების, ქ. დედოფლისწყარო - 1, დედოფლისწყარო - 2, დედოფლისწყარო-3. - გუნდებმა.

შეჯიბრი მიმდინარეობდა ნახევარ მოედანზე,თითოეული გუნდის შემადგენლობაში შედიოდა სამი მოთამაშე,დროის ხანგრძლივობა- 5 წუთი -2 ტაიმიად.

შეჯიბრის მიზანი იყო საუკეთესო კალათბურთელების გამოვლენა და მუნიციპალიტეტის ნაკრები გუნდის დაკომპლექტება.

საპრიზო ადგილები შემდეგნაირად გადაანაწილდა:

ზემო ქედის გუნდი-პირველი ადგილი, არბოშიკის გუნდი-მეორე ადგილი, დედოფლისწყარო-1-მესამე ადგილი, ზემო მაჩხანის-მეოთხე ადგილი.

დასახელდა საუკეთესო კალათბურთელი ვაჩე ცაკაშვილი(სოფ.არბოშიკი) და საუკეთესო ბომბარდირი- ზურა ჯანაშვილი.(სოფ.ზემო მაჩხანის)

ტურნირის მსაჯობდნენ კაკო მაჩაბლიშვილი და ზურა მესხრიშვილი.

წარმატებული გუნდები დაჯილდოვდნენ დიპლომებით. ღონისძიებას ორგანიზებას უწევდა სპორტის საკითხებში მთავარი სპეციალისტი მამუკა ალადაშვილი.



# სამავისტრო გრანტიდან ფეხლახე მცირე თანხას ხელოვნების ფაკულტეტები მიიღებენ

2014-2015 წლისთვის სასწავლო სამაგისტრო გრანტის წლიური მოცულობა 2 მილიონ 250 ათასი ლარით განისაზღვრა. აღნიშნული თანხიდან ყველაზე მეტ გრანტს ფიზიკა — მათემატიკისა და ინფორმაციული ტექნოლოგიების, ყველაზე ცოტას კი ხელოვნების ფაკულტეტები მიიღებენ.

თითოეულ მაგისტრანტზე გასაცემი გრანტის მაქსიმალური მოცულობა ისევ 2 250 ლარია.

მათავრობის განკარგულების მიხედვით, აღნიშნული თანხიდან 800 ათასი ლარი ყველა პროგრამულ მიმართულებაზე თანაბრად გადაანაწილდება, 1,2 მილიონი ლარით კი, დამატებით, პრიორიტეტული მიმართულებები დაფინანსდება. კერძოდ, მათემატიკა, ინფორმაციული ტექნოლოგიები, ფიზიკის ფაკულტეტი - თანხის 9,5%-ით; საინჟინრო - 9,5%-ით, საბუნებისმეტყველო მეცნიერებები (გარდა ფიზიკისა) - 9%-ით, სოციალური მეცნიერებები - 8,5%-ით, განათლება და ჰუმანიტარული - 6%-6%-ით, ბიზნესი და ეკონომიკა - 5%-ით, სამართალი - 3%-ით, აგარული - 2%-ით, ჯანდაცვა - 1%-ით, ხელოვნება - 0,5%-ით დაფინანსდება.

ილია გარბაყოფლიშვილი



# კანონი და საბჭოთა სიმბოლოები

საქართველოში საბჭოთა სიმბოლოები იკრძალებოდა. სულ მალე შსს-ში უნდა შეიქმნას კომისია, რომელიც სიმბოლოების აღმოფხვრის პროცესს გააკონტროლებს. ის მუნიციპალიტეტები, რომლებიც კომისიას არ დაემორჩილებოდა და მათ ტერიტორიაზე შემორჩენილი სიმბოლოები არ აღმოფხვრის, პირველ ეტაპზე ოფიციალურ გაფრთხილებას მიიღებს, შემდეგ კი ფინანსური სანქციები დაეკისრება. გაზეთ „შირაქის“ ინფორმაციით, ჯარიმა 1 000 ლარს აღწევს.

როგორც გაირკვა, საბჭოთა სიმბოლოები დედოფლისწყაროშიც შემორჩენილია. რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, საბჭოთა ბელადის, იოსებ ბესარიონის ძე სტალინის ძეგლი სოფელ ზემო ქედში კვლავაც თავმოქმედდება. სხვათაშორის, ოთხი წლის წინ, ზემო ქედის ცენტრში, კულტურის სახლთან მდგარი ბელადის ძეგლი, წინა ხელისუფლებამ მალულად აიღო. მოგვიანებით, ზემო ქედში სტალინის ბიუსტი „ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლისთანავე დაბრუნდა, თუმცა, როგორც ახლა ირკვევა, მათივე ინიციატივით უახლოეს მომავალში ძეგლის დემონტაჟის აუცილებლობა დადგება.

ზემო ქედში ძეგლის გაუჩინა-

რებისა და დაბრუნების დეტალურზე სოფლის რწმუნებულს ბეჟან სუხაშვილს ვესაუბრეთ.

„გორში რომ მოხსენეს სტალინის ძეგლი, გახსოვთ ალბათ, „ნაციონალური მოძრაობა“ მას შემდეგ დაერია და ყველა სოფელში აიღეს ძეგლები. ჩვენს სოფელშიც ამ დროიდან მოხსენეს, 2 წელი მაინც აღარ იდგა, გადაგდებას უპირებდნენ. როგორც რწმუნებულად დამინიშნეს, მალევე დავაბრუნე. სამამულო ომის 3-4 მონაწილე სოფელში კიდევ გეყავს და ხალხის მოთხოვნა იყო. თუ ძეგლის აღებას დაგვავალდებენ, ცხადია, დავემორჩილები, რასაც სახელმწიფო გადაწყვეტს ისე იყოს, მაგრამ ადამიანურად რომ გითხრათ, არ ვეთანხმები... მიმაჩნია, რომ ძეგლებთან ბრძოლა ხალხის უკმაყოფილებას გამოიწვევს. იმდენი საქმე გვაქვს საკეთებელი, ვფიქრობ, ახლა ამის დრო არ უნდა იყოს,“ - განუცხადა გაზეთ „შირაქს“ ზემო ქედის ტერიტორიული ორგანოს რწმუნებულმა ბეჟან სუხაშვილმა.

ზემო ქედში მცხოვრები ასაკოვანი თაობა ჩვენთან საუბრისას კონკრეტულად ვერ იხსენებს, რომელ წელს გამოჩნდა დიდი ბელადის ძეგლი სოფლის ცენტრში, თუმცა ის ზუსტად იცინა, რომ კულტურის სახლის აშენებამდე

დადგეს. მაშინ ამავე ადგილას შინამოუსვლელთა მემორიალიც იყო, რომელიც მოგვიანებით სხვა ადგილას გადაიტანეს.

კომუნისტური იდეოლოგიის მატარებელი სიმბოლოების აღმოფხვრის მიზნით, „თავისუფლების ქარტიას“ და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში შესული ცვლილებები 2013 წლის 25 დეკემბრიდან ამოქმედდა. ცვლილებების მიხედვით, უნდა შეიქმნას კომისია, რომელიც პარლამენტში შემავალი 10 ფრაქციის თითო წევრით დაკომპლექტდება. კომისიას შს მინისტრი ალექსანდრე ჭიკაძე უხელმძღვანელებს.

კომისიის ამოცანა იქნება, მოაგროვოს ინფორმაცია საკულტო ნაგებობების, ძეგლების, მონუმენტების, ბარელიეფების, წარწერების, ქუჩების, მოედნების, სოფლებისა და დაბების სახელწოდებების, აგრეთვე მასობრივი თავშესაფრის სხვა ადგილების შესახებ, რომლებიც კომუნისტურ-ტოტალიტარული და ფაშისტური იდეოლოგიების და პროპაგანდის ელემენტებს, თუ ამ იდეოლოგიების ლიდერთა სახელებს შეიცავს. აღნიშნული სახელწოდებების აღმოფხვრის მიზნით, კომისია უფლებამოსილი პირს ბრძანებით მიმართავს. უფლებამოსილი პირი ვალდებულია, კომუნისტურ-ტო-

ტალიტარული სიმბოლოები აღმოფხვრას.

მოგესხენებათ, ქალაქ დედოფლისწყაროში, ცენტრალურ გამზირზე მდებარე სკვერიც „სტალინის ბაღის“ სახელწოდებითაა ცნობილი. ვერ გეტყვით, ეს სახელი სკვერს ოფიციალურად მიენიჭა, თუ, მოგვიანებით, მოსახლეობისგან შეიძინა, თუმცა, ფაქტია, რომ პირველი საჯარო სკოლის წინ მდებარე ბაღს ყველა ჩვენგანი სწორედ ასე მოიხსენიებს. თუკი მუნიციპალიტეტმა თავის დროზე ამ ბაღს სტალინის სახელწოდება ოფიციალურად მიანიჭა, სავარაუდოდ, ამჯერად მისი გადარქმევის აუცილებლობაც დადგება დღის წესრიგში.

ბუნდოვნად მახსოვს, დაახლოებით 18 წლის წინ, მამაჩემმა მე და ჩემი ძმა „რაღაც“ სანახაობაზე წაგვიყვანა. მანქანა გამგეობის შენობასთან გააჩერა და ე.წ. „სტალინის სკვერში“ უკანა მხრიდან მივედით. ადგილზე ხალხმრავლობა დაგვხვდა, ვიღაც სიტყვითაც გამოდიოდა. აღმოჩნდა, რომ სკვერში სტალინის ძეგლის გახსნის ცერემონია იმართებოდა. როგორც მახსოვს, ლითონის მალალ მწვანე სვეტზე ოქროსფრად შეღებილი სტალინის პატარა ზომის თაბაშირის ძეგლი სწორედ დიდი ბელადის შთამომავლების

დედოფლისწყაროში სტუმრობის დროს გახსენს... თუ არ ვცდები, იმხანად, დედოფლისწყაროში იოსებ ბესარიონის ძის შვილიშვილი იმყოფებოდა.

ასაკიდან გამომდინარე, ჩემი ამგვარ ღონისძიებაზე მოხვედრის ეს პირველი შემთხვევა იყო, ამიტომ გამორჩეულად ჩამრჩა მესწერებში. თუმცა, ბევრ თქვენგანს ემხსოვრება, რომ ამ ძეგლის არსებობა დედოფლისწყაროში საკმაოდ ხანმოკლე აღმოჩნდა. ვერ გეტყვით, სტალინის ფიგურის სიძულვილით, თუ უბრალო ბავშვური ანცობის მიზეზით, თუმცა მისივე სახელობის სკვერში ნამომართულ ბელადის ძეგლს ხან თავი მოაგლიჯეს, ხან ხელი. სკვერთან გავლისას, უთავოდ შემორჩენილი სტალინის შემხედვარეს, გამუდმებით მისი გახსნის ცერემონია მხატვრობა თვალწინ. უთავო ბელადის ძეგლი იმხანად მითქმა-მოთქმის საბაბიც ხდებოდა. მახსენდება ისიც, რომ რამდენჯერმე დაზიანებული ძეგლის რესტავრირებაც სცადეს, თუმცა ძეგლი მალევე ჩამოიშალა. ცარიელი რკინის სვეტი რამდენიმე წელს უფუნქციოდ იდგა, შემდეგ ისიც გაქრა.

თუ იმასაც გავიხსენებთ, რომ ორი წლის წინ ამავე სკვერში **(გაგრძელება გვ-8)**

# „უემოდოდო სიკვდილი ცელით“...

(პირველი გვერდიდან)

რესპუბლიკის ტერიტორიის ხელში ჩაგდება და ვერანაირი მოსაზრება, გარდა ზემდგომი ძალისა, მას ვერ შეაჩერებდა. უდავოა, რომ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკაზე იერიშის მიტანის მთავარი ნაშეზებელი იყო სტალინი — თავად ქართველი, რომელსაც სძულდა საქართველო იმის გამო, რომ თავის დროზე ქართველებმა იგი არ აღიარეს. ლენინი, სავარაუდოდ, წინააღმდეგი იყო საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში შეჭრისა. მას ეშინოდა იმ გავლენის, რომელიც ამ უმიზეზო, ღია აგრესიას შეიძლება მოეხდინა გარესამყაროს საზოგადოებრივ აზრზე. მაგრამ სტალინს შურისძიება სწყუროდა და მან აისრულა კიდევ საკუთარი წაღვიძ.

აი, რას აღნიშნავს ტროცკი გადასახლებაში დაწერილ და გამოქვეყნებულ წიგნში სტალინის შესახებ:

„როგორც ჩანს, სტალინი მა დაივიწყა, რომ 1920 წლის 7 მაისს ჩვენ მეგობრობისა და თავდაუსხმელობის შესახებ შეთანხმებას მოვანერეთ ხელი, 1921 წლის 11 თებერვალს კი ნითელმა არმიამ თვითნებურად გადალახა საქართველოს საზღვრები. ჩვენ არ ვაპირებთ იმ როლის დამალვას ან შემცირებას, რომელიც ნითელმა არმიამ კავკასიაში საბჭოელების გამარჯვებაში ითამაშა. 1921 წლის თებერვალში არმიამ რევოლუციას (?) ძლიერი მხარდაჭერა აღმოუჩინა. საქართველოს წინააღმდეგ ჯარების გაგზავნის სანინააღმდეგო არაფერი გქონდა.“

მაგრამ ამ წიგნის დაწერამდე დიდი ხნით ადრე, 1922 წლის აპრილში, ტროცკიმ, რომელიც ნითელი არმიის მთავარი კომისარი იყო, განაცხადა:

„ჩვენ საქართველოს დატოვებას არ ვფიქრობთ, მაგრამ თუ სიტუაცია ისე შეიცვლება, რომ სხვა გზა აღარ გვექნება, კარებს

ისე მოვიჯახუნებთ, რომ იქ ქვა ქვაზე აღარ დარჩეს.“

საქართველოს კომუნისტური პარტიის ბეჭდვითი ორგანო გაზეთი „კომუნისტი“ 1921 წლის 5 მაისის ნომერში, ოკუპაციიდან ექვსი კვირის შემდეგ, წერდა:

„ჩვენს კლასობრივ ბრძოლაში დაგვეხმარა და ანტანტის კლანჭებიდან გვიხსნა ჩვენი მოძმე საბჭოთა რუსეთის ნითელმა არმიამ.“

საქართველოში შემოჭრის მეთხუთმეტე წელს, 1936 წლის თებერვალში, ბერია წერდა:

„1921 წლის თებერვალში საქართველომ საბჭოთა არმიის დახმარებით შეძლო გათავისუფლება და საბჭოთა დიქტატის დამყარება.“

იმავე მოვლენასთან დაკავშირებით მოლოტოვმა შემდეგი განაცხადა:

„მხოლოდ რუსეთის დიდი ოქტომბრის რევოლუციის საშუალებით მოხერხდა მენშევიკების [საქართველოს დამოუკიდებელი დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის] დამარცხება. საქართველოს მოსახლეობის გათავისუფლება დაიწყო მაშინ, როდესაც რუსეთში გამარჯვების შემდეგ, საბჭოთა ბოლშევიკური რევოლუცია ნითელი არმიის დახმარებით, 1920 წელს კავკასიაში გადავიდა. 1921 წელს კი მან აუცილებელი დახმარება აღმოუჩინა საქართველოს მოსახლეობას და საქართველო დაიკავა.“

არის კიდევ ერთი, ყველაზე მრავლისმთქმელი, თავად კომუნისტების მიერ დატოვებული მტკიცებულება. ეს არის საქართველოს კომუნისტური პარტიის მაშინდელი თავმჯდომარის, ფ. მახარაძის მიერ მოსკოვში რუსეთის კომუნისტური პარტიისთვის 1921 წლის 6 დეკემბერს გაგზავნილი ანგარიში. ქვემოთ მოცემულია რამდენიმე ამონარიდი ამ ანგარიშიდან: ნითელი არმიის შემოსვლა და საქართველოში საბჭოთა და-

ლაუფლების დამყარება გარეწულად საბჭოთა ოკუპაციის ჰგავდა, რადგან ქვეყანაში არ ჩანდა ის ძალა, რომელიც მზად იყო აჯანყებაში ან რევოლუციაში მონაწილეობის მისაღებად. საბჭოთა რეჟიმის დამყარებისას საქართველოში არ მოიქმნებოდა პარტიის არც ერთი წევრი, რომელიც საქმიანობის ორგანიზებას ან წარმართვას შეძლებდა. ეს დაავლება უმეტესად საეჭვო და ზოგჯერ, კრიმინალურმა ელემენტებმა შეასრულეს. უნდა გავითვალისწინოთ, რომ საქართველოში მასები შეეჩვივნენ საქართველოს დამოუკიდებლობის იდეას. გულახდილად თუ ვიტყვით, თავდაპირველად ჩვენ, გარეწულად მაინც, სწორი მიდგომა შევიმუშავეთ - ვაცხადებდით, რომ საბჭოთა რუსეთი არ აპირებდა საქართველოსთვის დამოუკიდებლობის წართმევას და ნითელი არმია ქვეყანაში მხოლოდ იმისთვის შევიდა, რომ მშრომლები გაეთავისუფლებინა. დაისვა კითხვა: შევძლებდით თუ არა ჩვენ ამ პოზიციის შენარჩუნებას? ნათლად უნდა გვეჩვენებინა, რომ ჩვენი პოზიცია საქართველოს დამოუკიდებლობაზე დაფუძნებით, მაგრამ მხოლოდ სიტყვიერად, მაშინ როდესაც ფაქტობრივად ჩვენ უარი ვთქვით მასზე და ამგვარი მიზანი საერთოდ არ გვაიმძრავებდა. აუტანელი სიტუაციაა, რადგან წარმოუდგენელია მასების მოტყუება პოლიტიკურად, განსაკუთრებით კი ქართველი ხალხის მოტყუება, რომელმაც ბოლო წლებში საშინელ გამოცდას გაუძლო. ჩვენ განვაცხადეთ, რომ დამოუკიდებელი საქართველოსთვის ვიღწვოდით, მაშინ როდესაც თანმიმდევრულ ნაბიჯებს ვდგამდით ამ პირობის დასარღვევად.

საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში შეჭრის, მისი ოკუპაციისა და გასაბჭოების შემდეგ კომუნისტები გამუდმებით აცხადებდნენ, რომ

„გათავისუფლეს საქართველო იმპერიალისტურ-კაპიტალისტური ულლისაგან“. მაგრამ რეალობა სულ სხვაგვარი იყო. საბჭოთა რუსეთმა საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას დამოუკიდებლობა შემდეგი მიზეზების გამო წართვა:

1. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სტრატეგიული მდებარეობის განსაკუთრებული მნიშვნელობის გამო ახლო და შუა აღმოსავლეთთან მიმართებაში;

2. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ეკონომიკური სიმდიდრის — მანგანუმის, ქვანახშირის, სპილენძის, ხე-ტყის, თამბაქოს, ჩაის, ციტრუსის, ბამბის და სხვა რესურსთა გამო, რაც ასე ძლიერი სურდა რუსეთს;

3. კომუნისტების იმ ფაქტთან შეურიგებლობის გამო, რომ მათ საზღვართან ეარსება ნამდვილად დემოკრატიულ, დამოუკიდებელ სახელმწიფოს, რომელსაც, როგორც მაგნიტს, შეძლო კავკასიის სხვა ხალხების მიზიდვა;

4. კომუნისტების მიერ ცარიტული რუსეთის იმპერიალისტური ექსპანისის პოლიტიკის გაგრძელების გამო.

გადაჩვენისთვის ბრძოლაში საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას გარე სამყაროსგან დახმარება არ მიუღია (ფრანგული ფლოტის ნაწილებმა რამდენიმეჯერ გაისროლეს რესპუბლიკის ჯარების დასახმარებლად, რომლებიც შავი ზღვის სანაპიროზე იბრძოდნენ, მაგრამ როგორც კი ჰორიზონტზე ბოლშევიკების თვითმფრინავი გამოჩნდა, მათ მაშინვე დატოვეს იქაურობა). მიუხედავად ამისა, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ანექსიას უყურადღებოდ მაინც არ ჩაუვლია. ევროპის მრავალ ქვეყანაში მოაწყვეს საპროტესტო გამოსვლები და მიიღეს რეზოლუციები. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის

საკითხი განხილულ იქნა დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის პარლამენტებში, ერთა ლიგაში, არაკომუნისტ მშრომელთა ინტერნაციონალის შეხვედრებზე და ა.შ. 1926 წელს ეს საკითხი წარმომადგენელთა პალატის საგარეო საქმეთა კომიტეტში, 69-ე კონგრესზეც კი განხილეს, მაგრამ ამ შეხვედრებს, დებატებს და პროტესტს შედეგი არ მოჰყოლია. არავის სურდა უთანხმოება შორეულ კავკასიაში მდებარე პატარა ქვეყნის გამო საბჭოთა რუსეთთან. 1921 წელს, მსოფლიოს ჯერ კიდევ არ ჰქონდა გათავისებულ-გაზარებული კოლექტიური უსაფრთხოების პრინციპები და ის კონცეფცია, რომლის თანახმადაც თავისუფლება საყოველთაო ფასეულობაა და რომ საფრთხის შემთხვევაში იგი ერთხმად დასაცავია, თუ კაცობრიობას მართლაც სურს ნამდვილი მშვიდობის დამყარება. საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში შემოჭრა და მისი ანექსია პირველი შემთხვევა იყო, როდესაც საბჭოთა რუსეთმა ღიად და ცინიკურად დაარღვია საერთაშორისო შეთანხმება. დღეს კი მთელი მსოფლიოსათვის ცნობილია, თუ რამდენი შეთანხმება დაარღვია მას შემდეგ ამ სახელმწიფომ.

2010 წელს საქართველოს პარლამენტმა ერთხმად მიიღო დადგენილება, რომელიც ავალებს მთავრობას ყოველ 25 თებერვალს, ასეულ ათასობით ოკუპაციის მსხვერპლთა პატივსაცემად, რომლებიც „კომუნისტურმა საოკუპაციო რეჟიმმა პოლიტიკური ნიშნით სიცოცხლეს გამოასალმა“, დაუშვას სახელმწიფო დროშები და გამოცხადდეს ნუთიერი დუმილი.

25 თებერვალს საზეიმო ღონისძიებები შეზღუდულია. მართლმადიდებლურ ტაძრებში კი გმირების სულების მოსახსენიებელი პანაშვიდები სრულდება.



# მზის ჩასვლის უმედეგ

სამსახურში მისვლისას, ჩემს ოთახში, სამუშაო მაგიდაზე წიგნი დამხვდა, „მზის ჩასვლის უმედეგ“, სასწრაფოდ ავტორის ვინაობას ვიკვებ და სიხარულით ვკითხულობ მის სახელსა და გვარს, - გიორგი გარსენიშვილი, შიდა ყდაზე წარწერა, - ლალი მებრძოლი ავტორისაგან. რომ იცოდე, რამდენად ბედნიერად ვიგრძენი თავი, გიორგი, როცა შენი წიგნი დღის სინათლეზე ვიხილე, ასე, ალბათ, კარგა ხანია, არაფერი გამხარებია, ვისამოვინე შენი ლექსებით შენ უკვე კარგა ხანია იმსახურებდი შენი ლექსების საკუთარ კრებულს.

მკითხველს მინდა შევასხენო, რომ ეს ნიჭიერი პოეტი, გაზეთმა „შირაქმა“ აღმოაჩინა და მისი საზოგადოებისთვის წარდგინების უპირატესობა მე მერგო. მინდა დავახსიანოთ გიორგი (გია), იგი უპირველეს ყოვლისა დიდი ადამიანია, შემდეგ კი ნიჭიერი კაცი. მე მახსენდება გიასთან არაერთი ჩემი სტუმრობა, როდესაც ის თავისი ლექსების გარდა ვაჟას, რუსთაველის და ილიას ლექსებს საუბრის დროს ხშირად იშვავებდა, შემოდგამდა ღვინით სავსე დაცვარულ დოქს მაგიდაზე და ისე ლამაზად და ტკბილად გვაქეფებდა თავის ოჯახის წევრებთან ერთად, რომ გდომებოდა, ვერ შეეძებოდი იმ ტაბლა-სუფრას. უსაზღვროდ იყო შეყვარებული ლიტერატურაზე, შემოქმედ ადამიანებზე, გია თვითნასწავლი ლიტერატორია, ფლობდა იმდენ ინფორმაციას მსოფლიო კლასიკოსებზე, რამდენის ცოდნაც ალბათ კარგ ფილოლოგსაც გაუჭირდებოდა, მახსენდება, თუ როგორ საუბრობდა იგი ნიკო ფიროსმანზე, რუსთაველზე, ილიაზე, აკაკიზე, შტეფან ცვაიგზე, ბალზაკზე და მიკვირდა, ასე სიღრმისეულად, ასე მისხალ-მისხალ როგორ შეისწავლა მათი შემოქმედება-მეთქი, გია ფლობდა კლასიკოსების ცხოვრების ისეთ ნიუანსებს, რომელიც საზოგადოების დიდი ნაწილისთვის ჯერ კიდევ უცნობი იყო. დიას, ეს უბრალო, პროფესიით მეღვინე კაცი მუდამ ძიებაში იყო, კითხულობდა ლიტერატურას და ეცნობოდა ავტორთა თავისებურებებს, მათ დადებით თუ მანკიერ მხარეებს და მუდმივად მუშაობდა საკუთარ თავზე. მინდა აქვე ვთქვა, რომ გია გარსენიშვილი დიდი კლასიკოსებთან ერთად არასოდეს ივიწყებდა ჩვენი კუთხის შემოქმედ ადამიანებს. იგი არანაკლებად აღმერთებს ჩვენი კუთხის პოეტების მარინა ჭუმბურიძის, მაცყალა გონაშვილის, მარინე ცხვედიაშვილის, ჯუმბერ უთრუთაშვილის, თამაზ ნიკლაურის და მწერალ ჯემალ მებრძოლის შემოქმედებას. ზედმინევით აქვს შესწავლილი მათი ბიოგრაფიები და ნებისმიერ დროს შეუძლია ისაუბროს მათზე, რისთვისაც კიდევ უფრო ვაფასებ ამ ადამიანს.


მკითხველმა არ იფიქროს წარსულ დროში რომ ვნერ, რა ხდება ახლა, მაგრამ უნდა აღვნიშნო, გიორგი გარსენიშვილი დღეს ჩვენი ქვეყნის საზღვრის დამცველთა რიგებშია, სწორედ მისმა დატვირთულმა სამუშაო გრაფიკმა გამოიწვია ის, რომ ჩვენ იშვიათად ვხვდებით ერთმეორეს. ამიტომ დღეს მასთან შეხვედრა გაზეთის ფურცლებიდან მინეც. ასე გაგვხვდა ცხოვრებამ ერთი მინის შვილები სიცოცხლეშივე ერთმანეთისთვის ერთდროულად ახლობლებადაც და შორეულულებადაც.

ვიდრე წიგნის „მზის ჩასვლის უმედეგ“ ფართოდ მიმოხილვას დაიწყებდე, ორიოდ სიტყვით მინდა ვთქვა ისიც, რომ წიგნის რედაქტორს ნატო აფაქიძე-ყაბაშვილს კარგი რეცენზია გაუკეთებია - „გია გარსენიშვილი დაიბადა 1974 წლის 12 იანვარს, სოფელ ოზანში, ამავე სოფლის სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლა განაგრძო კვების მრეწველობის ინსტიტუტში, ამჟამად ცხოვრობს სოფელ ოზანში, ჰყავს შობილები და უმძვენიერესი მეუღლე-ნათია. თავისი სამშობლოს დამცველთა რიგებში ღირსეულად დგას (მუშაობს სასაზღვრო პოლიციაში). გია ბავშვობიდან ნერდა. მისი ნაწარმოებები პერიოდულად იბეჭდებოდა ადგილობრივი პრესის ფურცლებზე, აქტიურად მონაწილეობდა რაიონის თუ საქართველოს მწერალთა კავშირში გამართულ ლიტერატურულ თუ პოეზიის საღამოებზე... გზა დაფულოციოთ ამ უნიჭიერეს პოეტს პოეზიის უსაზღვრო სამყაროში“-ნერს ნატო აფაქიძე - ყაბაშვილი. მე კი, ჩემის მხრიდან მინდა დავამატო, რომ გია მშრომელ და პატიოსან ოჯახში დაიბადა და აღიზარდა, ოჯახიდანვე ისწავლა და დაჰყვა მუყაითი შრომის და

კეთილსინდისიერების დიდი ნიჭი. მისი პაპა, სამამულო ომის მონაწილე იყო და ომიდან ცოცხალი ვეღარ დაბრუნდა, ბებიამ კი, დიდხანს იცოცხლა და შვილიშვილების აღზრდაში დიდი წვლილი გაიღო. გიას დედა ნელი ოლაძე პროფესიით ექთანი გახლავთ და ის რაიონის მედიცინის სფეროში წლებია მუშაობს. მამამისი, ბატონი ვაჟა მშენებელ-შემდგენელია. ის წლების მანძილზე მუშაობდა ამ განხრით, თუმცა შემდგომ სოფლის მეურნეობის საქმიანობას მიჰყო ხელი, სოფელში მას უზომოდ მშრომელ კაცად იცნობდნენ, მასზე ხშირად უთქვამთ,

ნისლებით დაბინდულებო,  
ტრიალ ტრამპლზე გაჭრილო  
მარქაფა ბედაურეო.  
კეცსე მიკრულო ხშიადო,  
მთვარე, სინათლის მთვარო,  
ქალო, ლურჯთვალეხანო,  
ზირსახე ღმცისკროვანო....“

პოეტის ცხოვრებაში მეგობრობას დიდი ადგილი უკავია. გიამ უსაზღვროდ დიდი მეგობრობა იცის, თუ ადამიანში დაინახა ის პატარა ღვი, რასაც პატიოსნება, გულ-



როცა შრომობს თითქოს დევებს ერკინებო, ისეთი სიძლიერის კაცი იყო. დაუზარელი და მუხლჩაუხრელი კაცი გახლდათ, განსაკუთრებით აღმერთებდა ვაზს და ვენახის შვილივით მოვლა მისთვის უპირველესი იყო. სამუშაოდ, გიორგი გარსენიშვილის მამა დღეს ცოცხალი აღარაა, ის სულ ერთი წლის წინ გამოეცალა ოჯახს. გიას ჰყავს ერთადერთი და, მზია, რომელიც რუსული ენა-ლიტერატურის სპეციალისტია და წლები ასწავლის სკოლაში, მზია რამდენიმე წლის წინ დაოჯახდა და ამჟამად შვილების აღზრდილად დაკავებული.

გიორგი გარსენიშვილი, უპირველეს ყოვლისა, სიყვარულის კაცია, მისთვის სიყვარულის გრძობის განცდა ერთგვარ მუხადაა ქცეული და მართლაც, ვისაც ამ ქვეყნად სიყვარული არ შეუძლია და ამ გრძობის გათავისების გარეშე დაიარება, ის სრულყოფილ ადამიანად არ შეიძლება ჩაითვალოს. სიყვარულს გიორგი გარსენიშვილმა არაერთი ლექსი უძღვნა, მაგრამ მე ძალიან მოვიხიბლე ამ სტრიქონებით, რადგან ძალიან ოპტიმისტურია:

„ნუ იქნები ცრემლის მდენი,  
ნუ აჭყვები გლოვას,  
დამიჯერე, გულო, შენი  
განაფხულიც მოვა.  
აფეთქდება ვეითლად შინდი,  
აუფავდება არე.  
გადიფარე შეგ თხოვ ბინდი,  
გულო გაიხარე...“  
ან კიდევ,

„...მთაზე ნისლად ვარ გადმოფენილი,  
ვერ მიზოვია ჩემი ადგილი,  
მე მდინარე ვარ და თვითმკვლელობით  
ქარაფიდან ვარ გადმოფარნილი.  
შემეობა კი, რარე მხელია...  
მეწამულ ცას ფლეთს ჭკეპ-ქუსილი,  
შენი გოდება ჩემი ცრემლია,  
შენი ვაჟა,- ჩემი წუსილი.“

როდესაც სიტყვა სამშობლოს ეხება მღელვარებით სავსეა მისი სტრიქონები.

„ლექსო, ტკივილით ნაშობო,  
გულიდან ამოგუჯავილო,  
სისხლით მარწულო სამშობლო,  
ამწვანებულო ჯუჯილო.  
მთებო, გულდარდასებო,

მართლობა და ურთიერთ პატივისცემა ჰქვია, ის მეგობრის მიერ გამოწვეული ხელსხელის ჩამორთმევით პასუხობს, ხოლო მეგობრის გამოწვეული გულს - გულით.

„ნეტავ სადაა ახლა ლევანა,  
იქნებ წყნად ვარსკვლავებს დანდევს,  
იქნებ ვინმესთვის ლექსი ევალა...  
და რითმით ამსწერავს მოწოდებულ  
დარდებს...“

იქნებ ჩემსავით ახლა მარტოა  
და დუმს, ვით სოფლის ძველი საუდარი.  
იქნებ წუსილმა დაიბარტოვა  
და გაუთხარა ლექსში საფლავი.  
დავფერფლებით ათას ფერებად,  
ჩვენ თავს გაუჭრით ლექსში სამარეს,  
ჩვენ ჟამთა ღენა ვერ მოგვრევა,  
ჩვენ თვით სიკვდილსაც დაფასნარებთ.“

პოეტი თავისებურად ახასიათებს თავის პიროვნებასაც და წერს, თუ ვინაა თავად იგი:

„მე უმორესი ვიციდან მოვედი,  
და ძალე ქარებს აუვადგენები,  
ისე დაწვურე შენთვის გრძობები  
ვით სანაწილში ვაზის მტკვნები.  
დარდი მაქვს ახლა თავსეხსარი,  
ვულკანის დარად ბობოქრობს სისხლი  
და ლექსს უმიწოდ ვითარც მაყარი  
ფილთა თოფივით ჰაერში ვისვრი.“

საოცარია და ცალკე გამოყოფის ღირსია ჩვენი მგოსნის ბუნებასთან დამოკიდებულება, შემოქმედი ადამიანის და მით უმეტეს ფიროსმანის კუთხის შვილის ბუნების სიყვარული ხომ ყოველთვის იმაზე უფრო ძლიერია, ვიდრე ნებისმიერი მოკვდავი ადამიანის?!

„რასა ჩურჩულებთ ხეზე ფოთლებო,  
ნეტავ ასე რამ გავახლისათ?!  
იქნებ გარდასულ ამბებს მიუყვებით  
და მოცეკვლი იყვხეთ ქარისა.  
ხეზე მითროლვარე მწვანე ფოთლებო,  
რომელმა ქარმა აუაშრიალათ,-  
გთხოვთ მომიყვით ძველი ამბები  
და გაძიხინეთ გულზე იარა...“

გიორგი გარსენიშვილი თავისი შემოქმედებითი კალმით მთის არწივს,

ვაჟა ფშაველასაც ეხმიანება, რომელიც როგორც თავად მოგვითხრობს ლექსში, სიზმრად ნახა, ამ ლექსმა ჩემზე ძალიან დიდი შთაბეჭდილება მოახდინა, განსაკუთრებით ამაღელვალ ლექსის ერთ-ერთ-მა სტრიქონმა, სადაც ავტორი ამბობს, რომ ვაჟამ მხარზე ხელი შემოახვია. მე მჯერა, რომ ვაჟა ფშაველა დღეს რომ ცოცხალი ყოფილიყო, სწორედ ასე მოიქცეოდა, როგორც ის ავტორის სიზმარში მოქცეულა. გიორგი გარსენიშვილის გენში ხომ ფშავეური სისხლი სჩქეფს, პოეტის დედა ქალბატონი ნელი ხომ წარმოშობით ფშაველიან არის.

„ვაჟას აჩრდილი შემოძვეარა,  
თმაზე სდიოდა იის სურსელი,  
თვალცრემლიანი იდგა, ღელავდა,  
მთის სიყვარულით განუკურსელი.  
და იყო დამე ლანდებით სავსე,  
წელიწადებად იქცხენ წაძები,  
დადუმებული ვიდექი ასე,  
ვითარც ფშაველას გველისმჭანველი.  
წყვიდან ღვთიურ ჰანგებს ვისმენდი,  
განახლებული დამწოდა ქარი.  
იკვთებოდა ფერმკრთალ ნისლებში,  
ფშაველთა ნიში და იახსარი.  
დამე დამურის ფრთებით მოფრინდა,  
ქარი ხევებში ჰქროდა ხმაურით.  
გზას მიუვებოდი როგორც სოფლიდან  
გამეგებული ქეთელაური.  
ბრწვინავდა „თვალის ჰატოსანი“,  
გულში ფეთქავდა ლექსი-კაფია.  
ჩემთან მოვიდა მთების მკონანი  
და მხრებზე ხელი შემოახვია.  
დამეს შერთვოდა ფიქრი ეული,  
ქარი ხევებში ისევ დრეობდა.  
იდგა ფშაველა, როგორც გრძნეული,  
მავრამ მიწაზე ვერ ეტეოდა.  
ჯერ განთიადი ალბათ შორს არის,  
დამე დამურის ფრთები გაშალა,  
იდგა ნისლებით გვირგვინოსანი  
და მოუხმობდა მკონი ბახანას.  
დაფარფატებდა ფრთოსანი მუსა,  
ფიქრი შენივთდა როგორც ვინული,  
დამე დამურა, ვითარცა მუსა,  
ჯოჟოლას წახვლით გულგანგძირული.“

გია გარსენიშვილის ლექსები მხოლოდ ერთხელ გვეუბნება სათქმელს. რამდენჯერაც გადავკვლით თვალს მის შემოქმედებას იმდენჯერ ახლებურად დაინახავთ მის სათქმელს.გია გარსენიშვილის პოეზია არის ძარღვიანი ქართულით გადმოცემული ახლებურად ნათქვამი სიყვარული, რომელსაც გრიგალივით ძალა აქვს.

აქვე არ შემიძლია არ აღვნიშნო ის, რომ გია არის ლექსის კოთხის დიდოსტატი პოეტი. არსებობენ პოეტები, რომლებსაც არ შეუძლიათ ნაიკითხონ თავისი ან სხვისი შემოქმედება ლამაზად, ვისაც გიას ნაკითხული ლექსი მოუსმენია, დამეთანხმება ალბათ, რომ გიას ლექსის ნაკითხვის დროს მსმენელს ისეთი გრძობა ეუფლება, თითქოს ცამ იქუხა და ბუმბერაზი მთები შეაზანზარაო. ასეთი მთასავით ახალგაზრდა გიორგი გარსენიშვილი, ის პოეზიაში სწორედ ასე მთასავით მოღის და მკითხველის გულთან დასაყრელად პვეით თავისი გულწრფელობა მოაქვს. უსასრულოდ შემიძლია ამ ადამიანზე საუბარი, თუმცა ამჟამად აქ შევჩერდები. მათ კი, ვისაც პოეზია გიყვარვთ, ვისაც გიყვართ ან გყვარებთაო, ვისაც უნდა რომ უყვარდეს, აუცილებლად მოიკითხეთ და გაეცანით გიორგი გარსენიშვილის ახალ გამოცემულ ლექსების კრებულს „მზის ჩასვლის უმედეგ“ და თქვენ ამ წიგნში აუცილებლად შეხვდებით სტრიქონებს, რომელიც თქვენს სიყვარულს გაალამაზებს და შეავსებს.

ძალიან, ძალიან ვაფასებ, მეგობარო! ნინსვლას, უამრავ მკითხველს და ხალხის სიყვარულს გისურვებ, რამეთუ, ხალხის სიყვარულზე დიდი ამქვეყნად არაფერია.



# რა არის ბიო ნარკოტიკი?

რამდენიმე დღის წინ ახალგაზრდა ბიჭის გარდაცვალებამ საზოგადოება ააღელვა და ნარკოტიკების მოხმარების და დეკრიმინალიზაციის საკითხებზეც ააღაპარა. ამ ხმაურის ფონზე ის ადამიანები და ჯგუფებიც კი გავიხსენეთ, ვინც ჩვენი შფოთის გარეშე მიდის ხოლმე ამ ცხოვრებიდან, ვისზეც არ ვფუსფუსებთ და არც მოვთქვამთ. ამ ქვეყანაში იმდენი პრობლემაა, რომელიმე მათგანზე ყოველთვის შევძლებთ განვაცხადოთ - რა დროს

დში "ბიოს" მომხმარებლები ცენტრს საკმაოდ ხშირად მიმართავენ. "ეს არის ბუნებრივი, მცენარეული ნივთიერება, როგორც ანაშა, ზუსტად იგივე ფორმულაა, უბრალოდ, ერთი მოლეკულა შეცვლილია და ხელოვნურადაა გაკეთებული, შესაბამისად, ის ანალიზში არ ამოდის. ალბათ, ესეც ერთ-ერთი მიზეზია იმისა, რომ სხვა საშუალებებთან შედარებით ეს უფრო პოპულარული გახდა. ხშირად, რადგან ახალია,

ნია. მომართვის შემთხვევაში, მკურნალობა 10 დღიდან ორ კვირამდე გრძელდება", - აცხადებს თამარ გამყრელიძე. ნარკოტიკებზე და ალკოჰოლზე დამოკიდებულების სამკურნალო ცენტრ "ბემონის" ხელმძღვანელი ზაზა ჩიქოვანი ამბობს, რომ "ბიო" არომატიზატორი ისეთივე დამოკიდებულებას იწვევს, როგორც სხვა სახის ნარკოტიკები:

"გვექონდა რამდენიმე შემთხვევა, როდესაც მოგვმართეს პაციენტებმა, ისინი უშუალოდ "ბიოზე" დამოკიდებულები არ ყოფილან, იყვნენ სხვა ნამალზე დამოკიდებული, მაგრამ ამიტომ დაინტერესდნენ "ბიოს", როგორც დამატებითი გაბრუნების საშუალებას. ჩვენ გვინდა გავაფრთხილოთ მომხმარებლები, რომ ეს იძლევა უარეს შედეგს, ვიდრე მათ ჰგონიათ: ბიონარკოტიკი იწვევს ფსიქოზს უფრო გართულებულ ფორმებში, ვიდრე სხვა ნარკოტიკი, ხოლო მასზე დამოკიდებულება არის ქრონიკული და საჭიროებს ხანგრძლივ მკურნალობას", - აცხადებს ზაზა ჩიქოვანი.

ჯერ კიდევ შინაგან საქმეთა მინისტრის პოსტზე მუშაობისას ირაკლი ლარიბაშვილი აცხადებდა, რომ შსს ამ კუთხით ამერიკელ პარტნიორებთან ერთად მუშაობდა:

"ჩვენი ამერიკელი პარტნიორები გვეხმარებიან, გვაქვს დაგეგმილი სპეციალური ღონისძიებები და იმედი გვაქვს, რომ ძალიან მალე ჩვენ მივიღებთ დადებით პასუხს ჩვენი უცხოელი პარტნიორებისგან და კონკრეტულ გზებს, როგორ უნდა შევაჩეროთ თუნდაც "ბიო პლანის" მოხმარების, შესყიდვის და გამოწერის პროცესი საქართველოში", - აცხადებდა ირაკლი ლარიბაშვილი.

მანამდე კომპანია „USA2GEORGIA“-მ, რომელიც მომხმარებელს გადაზიდვის სერვისს სთავაზობს, "ბიო" არომატიზატორების ტრანსპორტირებაზე უარი განაცხადა. როგორც კომპანიაში აცხადებენ, ეს გადაწყვეტილება მათ სახელმწიფოს მხრიდან მითითების საფუძველზე არ მიუღიათ:

"არც ამერიკაში და არც სხვაგან ამის ტრანსპორტირება აკრძალული სატრანსპორტო კუთხით არ არის, თუმცა ბოლო ერთი წლის განმავლობაში მკვეთრად მოიმატა ამ ტიპის გზავნილებმა რაოდენობაშიც და წონაშიც. ბევრი კომპანიისთვის შეიძლება ამას მომგებიანი სახე ჰქონდეს, მაგრამ ჩვენ ამ შემთხვევაში ვარჩიეთ უარი გვეთქვა. თუ პირდაპირ ვიცით, რომ ეს არის საზიანო მომხმარებლისთვის, არ გვინდა უბრალოდ ამაში მონაწილეობა მივიღოთ. ეს არ იყო მითითება, ეს იყო კომპანიის გადაწყვეტილება. ჩვენ ვართ კერძო კომპანია და გვაქვს უფლება განვაცხადოთ უარი გარკვეული პროდუქციის ტრანსპორტირებაზე, იქნება ეს საზიანო თუ სასარგებლო", - აცხადებს კომპანიის აღმასრულებელი დირექტორი ნინო წერეთელი.

გადამზიდავ კომპანია "ბარამში" აცხადებენ, რომ მათ არ გაუმახვილებიათ ყურადღება, ხდება თუ არა არომატიზატორების გამოწერა მათი სერვისის საშუალებით:

"არ ვიცით, იწვევს თუ არა, თუმცა, თუ ეს ისეთი ნივთიერებაა, რომელზეც სახელმწიფოს შეზღუდვა არ დაუწესებია, კომპანია ასეთ გადაწყვეტილებას თვითნებურად არ მიიღებდა", - აცხადებენ კომპანიაში.

ხელისუფლებამ სპეციალური სტრატეგია შეიმუშავა და ამ ნარკოტიკის რეალიზაციისა და მოხმარებისთვის კანონის გამკაცრებას გეგმავს.

"ბიონარკოტიკს საქართველოში დღეს საკმაოდ ბევრი მომხმარებელი ჰყავს"-ასეთი განცხადება 20 თებერვალს გამართულ პრესკონფერენციაზე საზოგადოებრივი გაერთიანება "ბემონის" ხელმძღვანელმა, ნარკოლოგმა თამარ სირბილაძემ გააკეთა, სადაც ბიონარკოტიკის მოხმარებით გამოწვეულ საშიშროებებსა და საქართველოში არსებულ ნარკოპოლიტიკაზე ისაუბრა.

აღნიშნულ ფსიქოაქტიურ ნივთიერებათა გავრცელება მთელ მსოფლიოში 2000 წლიდან დაიწყო. საქართველოში ყველაზე მეტად გავრცელებულია ე.წ. "სპაისები" ანუ ბალახოვანი ნარკოტიკი. არსებობს "LSD"-ის მსგავსი მოქმედების ჯგუფებიც, ასევე გვხვდება ე.წ. "კრისტალი", რომელიც ამფეტამინისა და კოკაინის მსგავსი ნივთიერებებს შეიცავს. თუმცა უფრო კონკრეტულად, თუ რა ნივთიერებებს შეიცავს აღნიშნული ბიონარკოტიკები, დადგენილი არ არის, რადგან ბაზარზე ყოველწლიურად ახალ-ახალი ნივთიერების შემცველი პრეპარატები ჩნდება.

მხოლოდ 2013 წელს ევროპაში 70 ტიპის ახალი ნივთიერება აღმოაჩინეს, რომლებზეც მონაცემების შეგროვება და შესწავლა უკვე დაწყებულია: "ეს არის მარიხუანას, ამფეტამინის, კოკაინისა და „LSD“-ს მსგავსი, მაგრამ მათზე გაცილებით ძლიერი ნივთიერებები. ამას გარდა, აღნიშნული ნარკოტიკის მოხმარება ორმაგად საშიში ხდება ალკოჰოლთან შერევით", - ამბობს თამარ სირბილაძე.

ბიონარკოტიკის მოხმარებით გარდაცვლილთა პირველი შემთხვევა 2008 წელს, შვედეთში დაფიქსირდა, რის შემდეგაც ამ ნივთიერებით გამოწვეული სიკვდილიანობის მაჩვენებელმა კიდევ უფრო იმატა. დიდ ბრიტანეთში ჩატარებული კვლევის ანგარიშში წერია, რომ 2009 წელს შედარებით, 2012 წელს აღნიშნული ნარკოტიკული საშუალების

მოხმარება 800%-ით გაიზარდა.

საქართველოში ზუსტი სტატისტიკური მონაცემი არ არსებობს, თუმცა "ბემონის" მიერ 14-დან 24 წლის ახალგაზრდებში ჩატარებული კვლევის შედეგად ცხადი გახდა, რომ ბიონარკოტიკს საქართველოში საკმაოდ ბევრი მომხმარებელი ჰყავს.

"ბიონარკოტიკული საშუალებების ხშირი მოხმარება ჰალუცინაციებსა და ფსიქოზებს იწვევს. ძირითადი სიმპტომებია - მოუსვენრობა, ალგზნება, აჟიტირება, ჰალუცინაცია, ბოდივით განწყობა. ასევე, არსებობს გულყრის საშიშროება. ზედოზირების შემთხვევაში შესაძლებელია გონების დაკარგვა და კომაში ჩავარდნა", - ამბობს სირბილაძე.

თამარ სირბილაძის განცხადებით, შინაგან საქმეთა სამინისტრომ ჯანდაცვის სამინისტროსთან ერთად შეიმუშავა კანონპროექტი, რომლის მიხედვით, პირის დასჯა ნივთიერების მოხმარების, რეალიზაციისა თუ შენახვის ოდენობის მიხედვით განისაზღვრება.

"ამ კანონში არ არის შესული მოხმარებაზე დასჯის მუხლი. მოხმარება ნაკლებად მძიმე დანაშაულის კატეგორიაში გავა და პირს მხოლოდ ჯარიმა დაეკისრება. გასაღების მიზნით ნივთიერების შემოტანის შემთხვევაში, პირს შესაძლოა 5 წლით პატიმრობა მიესაჯოს", - განაცხადა სირბილაძემ.

კანონის ამოქმედების შემთხვევაში აიკრძალება თუ არა მისი შემოტანა, რეალიზაცია ან მოხმარება, ამაზე საზოგადოების აზრი ორად იყოფა. ერთი ფიქრობენ, რომ კანონის გამკაცრება ბევრ მოზარდს დაიცავს ნარკოტიკის მოხმარების საფრთხისგან, ზოგიერთი გამოსავალს ნარკოტიკის დეკრიმინალიზაციაში ხედავს.

ფორუმებზე ბიოს "მოპოვების" გზებთან დაკავშირებით თემები მუდმივად იხსნება. მომხმარებლების თქმით, იმ შემთხვევაშიც კი, თუ გადამზიდავი კომპანიები ბიო არომატიზატორის შემოტანაზე უარს იტყვიან, ყოველთვის გამოჩნდება პრეპარატის ახალი ვარიანტი, რომელიც აკრძალული ნივთიერებების სიაში არ აღმოჩნდება და მისი გადმოტანა საზღვარზე თავისუფლად მოხდება:

"თუ ვერ გამოვიწეროთ, ვინმე ჩამოიტანს და გაყიდის. ბევრი არაფერი შეიცვლება, უბრალოდ, ცოტა ფასი მოითხოვს", - ამბობენ მომხმარებლები.

მასალა მოამზადა ინბა შიოლაშვილმა



ეგვა, სხვა პრობლემებს უნდა მივხედოთ. ამის მიუხედავად, ნარკოტიკების მოხმარების რეგულაცია თავისთავად მნიშვნელოვანი საკითხი მგონია...

რა საფრთხის წინაშე შეიძლება დადგნენ ე.წ. "ბიო" ნარკოტიკის მომხმარებლები და რა სტრატეგია გააჩნია ქვეყანას იმ ნარკოტიკულ საშუალებასთან საბრძოლველად, რომლის გამოწერაც ინტერნეტის მეშვეობით აკრძალული არაა.

როგორც მომხმარებლები ამბობენ, "ბიო" თითქმის წელიწადია, ისეთი პოპულარული გახდა, რომ ღამის კლუბებში გართობა მის გარეშე თითქმის წარმოუდგენელია. "ბიომ" ნაწილობრივ ჩაანაცვლა მარიხუანაც.

ექიმების თქმით კი, სწორედ იმის გამო, რომ ხელმისაწვდომობა შეზღუდული არაა, მომხმარებლები გაბრუნების ამ საშუალებას სერიოზულად არ უყურებენ, რასაც ისინი მძიმე ფსიქოზურ დაავადებებამდე მიჰყავს.

ე.წ. "ბიო" არომატიზატორების გამოწერა სხვადასხვა საიტების მეშვეობითაა შესაძლებელი, მათი ფასი 50 ევროდან იწყება და სინამდვილეში მათ სრულიად სხვა დანიშნულება აქვთ.

არომატიზატორის რამდენიმე სახეობა არსებობს, ზოგიერთი მათგანი ეგზოტიკური ჩაია, ზოგი კი, აბაზანის მარილი, თუმცა მათ დანიშნულების მიხედვით თითქმის არავინ იყენებს, მათი ქიმიური შემადგენლობა კი მცირედ თუ განსხვავდება ერთმანეთისგან.

როგორც მომხმარებლები აცხადებენ, ნარკომავიამ ქიმიური ნივთიერების ამგვარად შეცვლით ნარკოტიკი ლეგალური გახდა.

როგორც ნარკოლოგიის სამეცნიერო კვლევითი ცენტრის თანამშრომელი თამარ გამყრელიძე აცხადებს, ბოლო პერიოდში

მას დიდი დოზით იღებენ და ხდება ინტოქსიკაცია, რაც იწვევს მწვავე ფსიქოზურ მდგომარეობას, ძირითადად, ამის გამო მოგვმართავენ. მომხმარებლებმა არ იციან, რომ ამ საშუალების შემადგენლობაში არსებული აქტიური ნივთიერება ზუსტად იგივეა, რაც სხვა ნარკოტიკებში არსებული ტედრა ჰიდრო-კანაბინოლი, უბრალოდ, ის ხელოვნურად შექმნილია", - აცხადებს თამარ გამყრელიძე.

"ბიოს" მოქმედების ხანგრძლივობა და სიმპტომები განსხვავებულია:

"პირადად მე იმიტომ მომწონს, რომ მოვწევ, სრულიად სხვა შეგრძნებაა, ვიდრე პლანის მონევისას და ნახევარ საათში გამოვდივარ, ისე ვარ, თითქოს არც კი მომიწევია", - ამბობს ერთ-ერთი მომხმარებელი 19 წლის გიორგი (სახელი შეცვლილი).

განსხვავებულ შეგრძნებებს აღწერს ირაკლი, 25 წლის (სახელი შეცვლილი):

"ერთხელ გავსინჯე და ისეთ დღეში ჩავვარდი, მეორედ სურვილი არ გამიჩნდა მომენია, პირი საშინლად გამიშრა, სიცხემ ამინია, ვგრძნობდი, თითქოს სარკეში ვხედავ ჩემს თავს, არ ვიცი რა გამეკეთებინა, ყველაფერი მაშინებდა, თან მარტო ვიყავი და ალბათ ბევრი მომივიდა. ბოლოს გადაწყვიტე დამეძინა და ისე გამოვსულიყავი, მე მგონი, ორი დღე მეძინა", - ამბობს ირაკლი.

თამარ გამყრელიძის თქმით, სიმპტომები და ნარკოტიკის მოქმედების ხანგრძლივობა ინდივიდუალურია:

"ეს იმაზეა დამოკიდებული, მოხმარდა თუ არა პირი რამე სხვა სახის ნარკოტიკს და რა ინტენსივობით ახასიათებს რელიეზიები, გახანგრძლივებული ფსიქოზური მდგომარეობა, ზოგიერთს პაკეტზეც აწერია, რომ ჰალუცინოგენია.





# გ ა მ ო ხ მ ა უ რ ე ბ ა

პატივცემული რედაქცია, თქვენი გაზეთის ერთ-ერთ ნინა ნომერში გავეცანი სტატიას სა-თაურით „ერთი დღე „სპექტრში““ და დიდი სურვილი გაიჩნდა, მეც გამოგეხმებოდა.

ალბათ დამეთანხმებით, რომ განათლება ყოველი ადამიანისთვის ძალიან მნიშვნელოვანია. ყოველი ჩვენგანი საბავშვო განათლებას სკოლებში იღებს, მაგრამ ფაქტია, რომ მიღებული ცოდნა არ არის საკმარისი საზო-

გადოებასთან ადაპტირებისთვის. საჭიროა, ყოველმა ჩვენგანმა მიიღოს დამატებითი ცოდნა, რათა გაიფართოვოს თვალსაზრისი. ამ მხრივ, დედოფლისწყაროში ქ-მა ნუნუ ცაკაშვილმა შემოგვთავაზა სასწავლო ცენტრი- „სპექტრი“ . მთელი პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ ეს არის ადგილი, სადაც მოზარდი იღებს ყოველ მხრივ განათლებას, სწავლობს თანატოლებთან, საზოგადოებასთან ურთიერთობას. ცენტრში

თავს იყრიან სხვადასხვა ასაკის ადამიანები, როგორც დაწყებითი, ისე დამამთავრებელი კლასის მოსწავლეები და ეს თაობათა შორის ურთიერთობებს აუმჯობესებს. მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ სასწავლო ცენტრში არის ძალიან თბილი და სასიამოვნო გარემო და საკმაოდ განსხვავდება ბავშვსა და სკოლებში არსებული სასწავლო პროცესებისგან.

პირადად ჩემს შემთხვევაში,

„სპექტრს“ საკმაოდ დიდი დამსახურება აქვს, რადგან აქ არა მხოლოდ კონკრეტული საგანი, არამედ ძალიან ბევრი რამ ვისწავლე. ქალბატონი ნუნუ დამეხმარა უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის შერჩევაში და საკმაოდ ნარმატებულად ჩაერიცხე 2012 წელს. ურთიერთობას „სპექტრთან“ არ ვწყვეტ, რადგან 9 ნარმატებული მოსწავლე ქალბატონი ნუნუს რეკომენდაციით ვაგრძელებთ ლექციების მომსე-

ნას არასამთავრობო ორგანიზაცია „კავკასიურ სახლში“ და მის ერთ-ერთ პროექტ „კავკასიოლოგიურ სახალხო უნივერსიტეტი“ აქტიურად ვართ ჩართული. და ბოლოს, თამამად შემძლია ვთქვა, რომ ეს არის სასწავლო დაწესებულება, სადაც შეგიძლია, როგორც ისწავლო, ისე განიტვირთო და გაერთო მეგობრებთან ერთად.

თამარ სპინიაშვილი  
კავკასიის უნივერსიტეტი

## პასუხი გაზეთ „შირაქში“ გამოქვეყნებულ სტატიებზე

პატივცემული რედაქცია, „შირაქი“ ჩვენს ოჯახში პოპულარულ გაზეთად მიგვაჩნია. წლების განმავლობაში მისი აქტიური კონსპონდენტიც ვიყავი. სამწუხაროდ, ბოლო პერიოდში, დროის სიმწირის გამო, ვეღარ ვახერხებ თანამშრომლობას. ყოველთვის გვჯერა თქვენი ობიექტურობის და კომპეტენტურობის.

ამ სტატიის დაწერა გადამწყვეტინა ამ ბოლო დროს გაზეთ „შირაქის“ ფურცლებზე გამოქვეყნებულმა სტატიებმა, სადაც სოფელ გამარჯვების საჯარო სკოლა აწარმოებდა ნიობისნივს.

თქვენი გაზეთის ერთ-ერთ ნომერში გამოქვეყნებულ სტატიაში „შემა სკოლებისთვის ძვირი სია-მოგებაა“, აღნიშნული იყო, რომ სოფელ გამარჯვების საჯარო სკოლა შემსა ძვირად ყიდულობს. ყველასთვის ცნობილია, რომ ჩვენს რაიონში ტყეყავი არ არსებობს, ბუნებრივია, არ იყიდება ბოლეთიც. თუ ვინმე შემსა უნებართვოდ ჭრის, ის სკოლას შემსა არ მიყიდის მარტივი მიზეზის გამო. სკოლას ნებისმიერი შესყიდვა შეუძლია განახორციელოს მხოლოდ უნაღდო ანგარიშსწორებით. უკანონო მჭრელი კი, არც ხელშეკრულებას გააფორმებს, არც მიღება-ჩაბარების აქტს, რადგან მას არ ექნება ბილეთი ანუ, შემსის ჭრის ნებართვა. ინდენარმეს კი, რომელიც ყიდულობს ბილეთს, იხდის საშემოსავლოს და შემსა მოაქვს შორი მანძილიდან, გაცილებით ძვირი უჯდება. ამიტომ უჯდება სკოლასაც შემსის შეძენა ძვირი და

ეს მარტო გამარჯვების სკოლის კი არა, ყველა საჯარო სკოლის პრობლემაა, რომელიც შემსის ლუმელებით თბება.

გაზეთ „შირაქის“ ბოლო ნომერში გამოქვეყნებულ სტატიაში „ვინ მიიღებს დაუბეგრავ მინიმუმს?“, სოფელ გამარჯვების საჯარო სკოლის მასწავლებლების მიერ „საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის“ პრეზიდენტ - მაია კობახიძის დასმულ შეკითხვაზე კლას-კომპლექტების შექმნის შესახებ, ქ-ნი მაია პასუხობს, რომ სოფ. გამარჯვების საჯარო სკოლაში კლასებში ბავშვთა რაოდენობის მიხედვით ეს დაუშვებელია. ამ შემთხვევაში ან კითხვა იყო არასწორად დასმული, ან არასწორად გაგებული, ჩვენს სკოლაში დაწყებით საფეხურებზე შეერთდა მხოლოდ სპორტი, მუსიკა და ხელოვნება იმ მიზეზით, რომ მცირე კონტიგენტობის გამო (139 მოსწავლე) დაფინანსებაც მცირეა, პედაგოგების საათობრივი ანაზღაურება კი უნდა შეადგენდეს ბიუჯეტის 72%-ს, რის გამოც მოხდა ზემოაღნიშნულ საგნებში საათების შეერთება. აქ კლას-კომპლექსები არაფერ შუაშია.

გაზეთ „შირაქის“ ბოლო ნომერში გამოქვეყნებულ სტატიაში „რომელი დირექტორი შეინარჩუნებს სკამს?“ ნინო სულიაშვილ-არაბულის მიერ გამოთქმული მოსაზრებები არასამართლიანად მიმაჩნია.

არასოდეს მქონია თანამდებობის ამბიცია. წლების განმავლობაში

ვენევი პედაგოგიურ საქმიანობას. ჩემი მოსწავლეების უმრავლესობა სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებლებში არიან ჩარიცხვნილები, მათ შორის ჩემი სამივე შვილი 100%-იანი დაფინანსებით.

ამ ორივე წლის წინ გამოჩნდა სკოლის დირექტორის ვაკანტური ადგილი. ახლობლების რჩევით მივიღე კონკურსში მონაწილეობა და დავეინიშე სკოლის ხელმძღვანელად. არ დავეინიშე ჩემს მიერ გაკეთებული საქმეების აფიშირებას, ვიტყვი მხოლოდ, რომ ცარიელი ხელებით, კეთილმოსურნელ ხალხის თანადგომით, დაძლიეთ ბევრი წლით მოუგვარებელი პრობლემა, ყველას მიმართ ვიყავი და ვარ სამართლიანი და პრინციპული, რაც შეიძლება „ზოგიერთისთვის მოსაწონი არ არის.

ჩემი მუშაობის პერიოდში არანაირ პოლიტიკურ პროცესში ჩაბმული არ ვყოფილვარ. კადრების შერჩევას ვახდენდი კოლეგიალურად, კონკურსის ნესით-პროფესიული უნარ-ჩვევებისა და ცოდნიდან გამომდინარე. მონაწილეობა მივიღე დირექტორების შესარჩევ კონკურსში, ნარმატებით გავიარე ტესტირება. მეორე ეტაპი იყო ზეპირი-გასაუბრება რა გავაკეთე და რის გაკეთებას ვაპირებდი რომელიც საკმაოდ მოგვიანებით უარყოფითი პასუხი მივიღე კონკურსში მონაწილეობა თითქმის ყველა მოქმედი დირექტორის მსგავსად.

რაც შეეხება ქალბატონ ნინო სულიაშვილ-არაბულის მიერ გამოთქმულ მოსაზრებებს, გაცნობებთ, რომ მე არასოდეს ვყოფილვარ არც

ერთი პარტიის კადრი, სკოლის დირექტორობა თავად ყოფილმა დირექტორმა, ნოდარ სულაშვილმა შემომთავაზა, რომელიც ამაჟამად ჩემი მოადგილე სამეურნეო ნაწილის დარგში.

ნინო სულიაშვილი-არაბული, როგორც თავად აღნიშნავს, მუშაობდა სოფელ გამარჯვების საჯარო სკოლაში ბიბლიოთეკარად, მე კი-მათემატიკის მასწავლებლად. ასე რომ, ის ჩემი კონკურენტი ვერ იქნებოდა. რაც შეეხება მის სამსახურიდან გათავისუფლებას, სამინისტროს მითითებით, ფინანსების ნაკლებობის გამო, მოხდა ინფორმაციის და ბიბლიოთეკარის შტატის შეერთება, რომელსაც დაარქვეს საქმის მწარმოებელი. ქალბატონი ნინო იმ დროისთვის არ ფლობდა საოფისე პროგრამებს, რის გამოც შეუძლებელი გახდა მისი საქმის მწარმოებლად დანიშნვა. ასე რომ, მე იგი გავათავისუფლე არაპროფესიონალიზმის გამო. მან განათლებისა და მეცნიერების სამინისტროშიც შეიტანა განცხადება, თითქოს პოლიტიკური ნიშნით იყო გათავისუფლებული, მაგრამ, როგორც ხედავთ, მისი დამტკიცება ვერ შეძლო.

კიდევ ერთხელ აღვნიშნავ, რომ მე და ჩემს პედაგოგიურ კოლექტივს მოგვართო თაობის სწორი სწავლა-აღზრდის გარდა, არაფერი გვაინტერესებს. ყველანაირად ვუჭერ მხარს დღევანდელი ხელისუფლების პოლიტიკას და რამდენადაც შეგიძლია გვერდშიც ვუდგევარ და დაუდგებით კიდევ ნინო სულიაშვილ-არაბულის მოსა-

ზრებიდან გამომდინარე, როგორც ჩანს, თვითონ გეგმავს კადრების შერჩევას პოლიტიკური ნიშნით სკოლაში მისი სავარაუდო მოსვლის შემთხვევაში.

კითხვის ნიშნის ბალებს მისი განცხადება, რომ სამეურნეო საბჭო მას რამდენიმე კვირაში აირჩევს დირექტორად, როცა წინ კიდევ გასავლელია სამინისტროში სკოლის განვითარების სტრატეგიული გეგმის წარდგენა და თავად არჩევნები, მითუმეტეს, რომ ჩვენს სკოლაში ყოფილა პრეცედენტი, როცა სკოლის დირექტორობის ერთადერთი კანდიდატი სამეურნეო საბჭოს არ აურჩევია. რატომღაც ქ-ნი ნინო არც ერთ შემდგომ ეტაპს ბარიერად არ აღიქვამს, მისი ნაზრებიდან, ალბათ პოლიტიკური შეხედულების გამო, რაც მომავალი ხელმძღვანელისათვის დიდი ნაკლია, რადგან „სკოლების პოლიტიზაცია იწვევს სკოლების ჯანსაღი კორპორაციული კულტურის ნგრევას და შეიცავს გარკვეულ საფრთხეებს სწავლის ხარისხის დაცემის მიმართულებით“.

და ბოლოს -დაგვიკავშირდენ სკოლის დირექტორებს და უფლება მოგვცეს კიდევ ერთხელ გავიაროთ გასაუბრება და შესაბამისად შემდგომი ეტაპებიც.

ასე რომ, ნუ აჩქარდებით და ნუ გამოვიტანთ ნაადრევ დასკვნებს.

პატივისცემით სოფელ გამარჯვების საჯარო სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი

თამარ ბატიაშვილი

## ოცნება თბილ სახლზე

გიორგი, ნავიკითხე შენი წერილი გაზეთ „შირაქში“. მე მახსოვხარ სკოლის გამოსაშვები გამოცდებიდან, - როგორი მონდომებით მუშაობდი, რომ სასურველი შეფასება გქონოდა; შემდეგ ჩვენ გვექონდა სხვა შეხედვრებიც.

გამიკვირდა, ისე დაუმთხვა ჩვენი სურვილები ერთმანეთს. კარგა ხანია, მინდა, ქალაქში გვექონდეს ადგილი, სადაც იქნება სითბო, გაზეთები, ჭადრაკი... სადაც შეიკრიბებიან ადამიანები, გაუზიარებენ ერთმანეთს აზრებს, სურვილებს... და რომ ამ სახლს ერქმევა „თბილი სახლი“, თბილი არა მხოლოდ იმიტომ, რომ იქ იქნება თბილი ოთახი, არამედ იმიტომაც, რომ ადამიანებს ექნებათ ერთმანეთთან გულთბილი დამოკიდებულება, გაიზიარებენ ერთმანეთის ჭირსა თუ ლხინს, იქნებიან გულისხმიერადი, და რომ აქ ერთხელ მოსულ ადამიანს ექნება სურვილი, კვლავაც მოვიდეს და სასურველ გარემოში გაატაროს თავისუფალი დრო.

ჩვენს ასოციაციას აქვს ამის პრაქტიკული გამოცდილება: 2004 წელს მოსწავლეებისთვის დავაფუძნეთ „საკვირაო სკოლა“, გავაერთიანეთ მრავალმშვიდობიანი და სოციალურად დაუცველი ოჯახის

ბავშვები, თუმცა შემდეგ იმდენად ბევრი იყო მსურველი, რომ სხვა ბავშვებიც ჩავრთეთ, ყველა მათგანის მიღება კი ვერ შევძელით.

სკოლის დაფუძნება მოხდა ფართო საზოგადოების მხარდაჭერით. დამფუძნებლებს შორის იყვნენ რაიონის გამგეობისა და საკრებულოს თანამშრომლები, განათლების განყოფილების მუშაკები, მამა ნიკოლოზი, მწერალი-თეატრის თამაშდირექტორი მაცყალა გონაშვილი, მწერალი მზია ხეთაგური... ამ სკოლის დაფუძნების უმთავრესი მიზეზი სოციალური გაჭირვების სულ მცირედით შემსუბუქება და ბავშვებში ჩვენი გარემომცველი ბუნების სიყვარულის აღზრდა იყო. სკოლა მუშაობდა კვირაში ერთ დღეს. ბავშვები ლამაზ, სასიამოვნო გარემოში ატარებდნენ რამდენიმე საათს, სწავლობდნენ, თამაშობდნენ, ხატავდნენ, კითხულობდნენ, გათვალისწინებული იყო, ასევე, ერთჯერადი კვება.

ამ ყველაფერს, ბუნებრივია, სჭირდებოდა მატერიალური სახსრებიც. მინდა, აქ ვახსენო ყველა ის ადამიანი, რომელიც დაგვეხმარა საქმით: სკოლის გათბობას უზრუნველყოფდა, იმ დროს განათლების განყოფილე-

ბის გამგე, მურად ოზაშვილი, ყველაზე დიდი თანხით - 100 ლარით, სკოლას დაეხმარა ფერმერი, არბოშვილი მკვიდრი ვაჟა ბიძინას ძე გონაშვილი, ორჯერ სხვადასხვა თანხით - გამგეობის აპარატის უფროსი, მარინე მეხრიშვილი, მაგიდის ჩოგბურთის მაგიდით - თამაზ მათეშვილი.

იმ დროს ახალი ჩამოყალიბებული ჰქონდა ქალბატონ დალი ელისაშვილს ვაჟთა ვოკალური ანსამბლი, პირველი კონცერტი მათ ჩვენი სკოლის ბავშვებისთვის გამართეს. სულ ორჯერ გვესტუმრნენ და ბავშვებს ტკბილუფი და მაგიდის ჩოგბურთის კომპლექტი მოუტანეს საჩუქრად. ეს ქალბატონ დალის მხრიდან ჩვენი მოსწავლეების მიმართ დიდი სითბოსა და გულისხმიერების გამოხატულება იყო. ჩვენი მხრიდან, დავესწარი მათ პირველ კონცერტს, რომელმაც კარგად ჩაიარა, ბიჭებმა ხალხური სიმღერები შესანიშნავად შეასრულეს. ჩვენმა მოსწავლეებმა კი ყვავილები მიართვეს დალი მასწავლებელსა და ახალბედა მომღერლებს.

რაიონის გამგეობა, ჩემო გიორგი, იმ დროს იყო მამაშენი, სოსო ხაჩიაშვილი. მისი დახმარებით გამგეობამ გამოგვიყო 100 ლარი. ამ თანხის საკანცელარო

საქონელი - სახატავი რვეულები, ფლომასტერები, პაპკები, გასაფერადებელი რვეულები და სხვა, შეგვიძინა მაია ბოსტაშვილმა. კარგი იყო ამ ჩამონათვალის გაგრძელება, მაგრამ ეს სია აქ მთავრდება. უნდა ვახსენო, ასევე, კაფე „ზუკას“ მეპატრონე ანზორ სეფიაშვილი და მისი მეუღლე ქალბატონი ჯულიეტა, მათთან შეთანხმებით და გარკვეული ფასდაკლებით, ერთი ბავშვის კვება ერთი ლარი ჯდება. მათი თბილი დამოკიდებულების გამო, ბავშვები სიხარულით მიდიოდნენ კაფეში. როცა ფული არ გვექონდა, ჩვენთანვე ვადულებდით ჩაის, ბავშვებს ვაძლევდით ლვეულების მოსატან ფულს და ასე ვსაუზმობდით. ამ ყველაფერს ბავშვები დიდი სიამოვნებით აკეთებდნენ, აწყობდნენ მაგიდებს, მირთმევდნენ, შემდეგ ალაგებდნენ. სკოლა უწყვეტად არსებობდა ოთხი წლის განმავლობაში, შემდეგ კი, დროებით, არსებობდა შეწყვიტა. ამის შემდეგ, რამდენჯერმე, ისევ განვაახლეთ მუშაობა, მაგრამ პერიოდულად მუშაობის შეწყვეტა მაინც გვიხდება.

სკოლის მუშაობაში ჩაებნენ მოხალისე მასწავლებლები. გვყავდა სხვადასხვა თემისთან

### გიორგი ხაჩიაშვილის წერილის გამოსაშვება

დაკავშირებით მოწვეული სპეციალისტები. პირველ ხანებში, ჩვენთან იყო და დიდი ენთუზიანით ეკიდებოდა საქმეს სარაიონო ბიბლიოთეკის უფროსი მანანა მაჭარაშვილი. იმდენად კარგი იყო მისი დამოკიდებულება ბავშვებთან, რომ კარგ პედაგოგს შემურდებოდა, ამიტომაც მან მოსწავლეების დიდი სიყვარული დაიმსახურა.

ჩვენი სკოლის მუშაობას პერიოდულად ამუქებდა გაზეთი „შირაქი“.

ამ ყველაფერს იმიტომ ვიხსენებ, რომ ჩვენს გვერდით ბევრი კეთილი ადამიანი ცხოვრობს და საჭიროა მათი მოკრძალებული ღვაწლის გახსენება. ყველა ადამიანის ვალია, მისი შესაძლებლობის ფარგლებში, იზრუნოს მის ირგვლივ მყოფებზე. ვფიქრობ, დღეს მეტი ენთუზიანობა გამოჩნდება და გიორგის ოცნება განხორციელდება. მე გავაკეთებ, ჩემგან გამომდინარე, ყველაფერს. თუ გვერდში დაგვიდგებიან კეთილი ადამიანები და რაიონის ხელმძღვანელობა, - შეუძლებელი არაფერია.

ქეთევან ფიცხელაშვილი  
ასოციაცია „წითელწყაროსი“  
თავმჯდომარე



# ლონისძიებათა კვირეული მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლში



14 თებერვალს დედოფლისწყაროს მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლში მორიგი კონკურსი გაიმართა სახელწოდებით „ყველაზე ჭკვიანი“. მასში მონაწილეობას რაიონის ყველა სკოლის მეექვსე და მეშვიდე კლასის მოსწავლეები ღებულობდნენ. N1 საჯარო სკოლას გუნდი „პირველები“ წარმოადგენდნენ, N2 საჯარო სკოლას გუნდი „ნიკე“, ხორნაბუჯის საჯარო სკოლას „იმედი“, სამრეკლოს „ვარსკვლავები“ და კერძო სკოლა „ბენაურს“ კი გუნდი „რჩეულები“.

შეჯიბრი სამ ეტაპად წარიმართა. პირველი ორ ტურში თავიდანვე მაღალი ქულებით გამოირჩეოდა სკოლა „ბენაურის“ „რჩეული“, საბოლოო გამარჯვებაც მათ ხვდათ წილად, იგი 25 ქულით პირველ ადგილზე გავიდა, მეორე ადგილს დასჯერდა სამრეკლოს სკოლის გუნდი „ვარსკვლავები“, მესამე ადგილი კი N1 საჯარო სკოლის „პირველებს“ ხვდა წილად.

ლონისძიების ბოლო ეტაპი

მრეკლოს სკოლის მეშვიდეკლასელი ანა ჩითინაშვილი გავიდა, ხოლო მეორე ადგილი ხვდა წილად „ბენაურელ“ გიორგი ბენაშვილს, გიორგი პოპიაშვილი, მინდია წიკლაური და ანა მელიქიშვილი კი მესამე ადგილებზე გავიდნენ.



19 თებერვალს მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლში ტრადიციული ხელსაქმის წრის ნამუშევრების გამოფენა მოეწყო პედაგოგ ლია ნატროშვილის ხელმძღვანელობით. მოსწავლეთა მიერ ბისერებით ხელნაკეთი ნივთები: სამაჯურები, მძივები, ბეჭდები, საყურეები თვალისმომჭრელად მოჩანდა ჩარჩოებიდან. თითოეული იმდენად ლამაზი იყო, თვალს ვერ მოსწყვეტდით და მისი შექმნის სურვილი გაგიჩნდებოდათ და როცა გაიფიქრებ, ეს ყოველივე ამ ბავშვების ნახელავია, შესწირვლივ რომ მიმოიღიან, გული მეტი სითბოთი აგვესება და სურვილი გაგიჩნდება, რაღაც ნაახლისო ისინი. და რ ბ ა ზ ი ს ერთ მხარეს ბისერებით, მეორე კუთხეში კი თექაზე შესრულებული ხალხური რენვის სხვადასხვა ნიმუშების გამოფენა მიგვანიშნებს, თუ როდენ ნიჭიერი მომავალი თაობები გვეზრდებიან.

მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის დირექტორის ირმა ბენაშვილის ინიციატივით, ამავე დღეს, ტრადიციული ხელსა-

ქმის წრის ნამუშევრების გამოფენის ფონზე, შეხვედრა შედგა დეკანოზ ნიკოლოზ ლომსაძესა და მოსწავლეებს შორის. მამა ნიკოლოზის გამოჩენას აღფრთოვანებით შეხვდა მონატრებული მრევლი და მოსწავლეები, ისინი გვერდიდან აღარ შორდებოდნენ მამაოს და ვეღარ ფარავდნენ მისი ნახვით გამონვეულ სიხარულს. შეხვედრა-დიალოგი, როგორც „საუბრები მოძღვართან“, რომელიც უკვე რახანია დაინერგა საქართველოს სხვადასხვა სკოლებსა თუ უმაღლეს სასწავლებლებში, იმავე ფორმატში წარიმართა. მოსწავლეებმა მამაოს უამრავი კითხვა დაახვედრეს, კითხვა-პასუხის რეჟიმი თითქმის ორ საათს გაგრძელდა, იგი იმდენად საინტერესო და მრავლისმომცველი იყო, დროის შეგრძნება დაიკარგა და ყოველდღიური ყოფითი პრობლემებით გამოფიტული ადამიანის სულმა დიდი სიმშვიდე იგრძნო. ახლოვდება დიდი მარხვა და კითხვებიც ძირითადად მის ირგვლივ შემოიფარგლებოდა: თუ რა არის მარხვა, რატომ უნდა ჩავაბაროთ მღვდელს აღსარება და უნდა იცოდეს თუ არა მოძღვარმა ყველა დეტალის შესახებ, უნდა ჰქონდეს თუ არა მემთვრალეს ცხონების იმედი, შეიძლება თუ არა მოუხათლავე ბავშვის ტაძარში სიარული, რა ზიანი მოაქვს ნიკოტინს და ნარკოტიკს, რა ინვესტაციაში უნდა მივთქვებოთ თუ არა ეს ცოდვა მათ, რა არის ჯვარი, რა არის სულიერი სიმშვიდე და როგორ შევინარჩუნოთ იგი? ამ და კიდევ სხვა უამრავ დასმულ შეკითხვას მამამ ამომწურავი პასუხები გასცა.

„მშვიდ ვარ და მდაბალ გულითა“-ამბობს უფალი და მოგვიწოდებს ყველა ჩვენგანს სულიერი სიმშვიდის შესანარჩუნებლად ნებისმიერ დროსა და ნებისმიერ საქმეში. სემინარიამი სწავლისას, როდესაც ჭრა-კერვის კურსს გავდიოდით, თავიდან გავაპროტესტეთ, დედა პარასკევამ კი გვითხრა: „თქვენს ნაკერში სჩანს თქვენი სულიო.“ მართლაც ასეა, როდესაც ჩქარობ, ზუსტად მაშინ არ გამოგდის საქმე ისე, როგორც გინდა რომ გამოვიდეს, საჭიროა, ყველაფერში დიდი მოთმინება და ნებისყოფა გამოვიჩინოთ. ამ ქვეყნად ყველა, ადამიანიც, ცხოველიც და ფრინველიც თავისი მისიით არის მოვლენილი და ყველას თავისი ფუნქცია გააჩნია. არასწორი აღზრდა, არასწორი ცხოვრების წესი, ზედმეტი განებივრება, ფუფუნება მანკიერ გავლენას ახდენს მომავალი თაობის აღზრდის ფორმირებაში, ასეთ პირობებში გაზრდილი ბავშვი როდესაც

მოიჩინებ ზომიერება ნებისმიერ საქმეში, რადგან უფლისათვის გადამეტებული ყველაფერი მიუღებელია. „ყოველი ადამიანი ცრუ არს“-ამბობს უფალი და მოგვიწოდებს, არასოდეს დავამყაროთ იმედი სხვა ადამიანებზე, იყავით მხოლოდ უფლისა და საკუთარი თავის იმედად. ყოველი ადამიანის ცხოვრება არის „მონაკვეთი“, რომელიც

მოიჩინებ ზომიერება ნებისმიერ საქმეში, რადგან უფლისათვის გადამეტებული ყველაფერი მიუღებელია. „ყოველი ადამიანი ცრუ არს“-ამბობს უფალი და მოგვიწოდებს, არასოდეს დავამყაროთ იმედი სხვა ადამიანებზე, იყავით მხოლოდ უფლისა და საკუთარი თავის იმედად. ყოველი ადამიანის ცხოვრება არის „მონაკვეთი“, რომელიც



ცხოვრების დიდ გზას დაადგება, ვერ უძლებს ნებისმიერ შემხვედრ გაჭირვებასა თუ დაბრკოლებას და შეიძლება თვითმკვლელობამდე მივიდეს, ხოლო რაც შეეხება დამარცხებული სიყვარულის გამო გადადგმულ ამ ნაბიჯს, სრულიად გაუმართლებელია, ადამიანმა, თუ იგი ფსიქიურად დაავადებული არ არის, უნდა გაუძლოს ყოველგვარ განსაცდელს. ნუ იქნებით ეგოისტები, გიყვარდეთ გაცემა. დიომა ამბობდა: „ქართველებს ისე უყვართ გაცემა, როგორც სხვა ერებს მიღებაო.“ არასოდეს ჰკრათ ხელი ადამიანს, რომელსაც თქვენთან მეგობრობა უნდა, გა-

ისე უნდა განვლო, რომ შენი კეთილი კვალი აუცილებლად დატოვო-ამ სიტყვებით დაასრულა მამამ შეხვედრა -დალოგი შეკრებილ მოსწავლეებთან, პედაგოგებსა თუ სხვა მოწვეულ სტუმრებთან.


მოსწავლეთა მხრიდან გამოჩენილი დიდი ინტერესისა და მოთხოვნის გამო, სახლის ხელმძღვანელმა ირმა ბენაშვილმა გადაწყვიტა, შეხვედრებს პერმანენტული ხასიათი მიეცეს და მომდევნო საეკლესიო დღესასწაულებზე გაგრძელდეს ასეთი შეხვედრები მამა ნიკოლოზთან.

ელზა ხარაშვილი



## მონატრება

### გელა ქოძიაშვილი



ჩემო საყვარელო შვილო, გელა, 1 მარტი შენი დაბადების დღეა, 51 წლის უნდა გახდარიყავი. 19 წელი და 7 თვეა, რაც ჩვენთან აღარ ხარ, ძალიან გვენატრები, შვილო.

უშენობა ძალიან ძნელია ჩემთვისაც და შენი პატარა ცოლ-შვილისთვისაც. შენი შვილები უკვე

დიდი ქალები არიან, პატარა შვილიშვილებს გიზრდიან. შენი მარიამი უკვე მესამე კლასის მოსწავლე არის. ღმერთს ეხვეწება გელა პაპა გამიცოცხლო, ხოლო პატარა ლუკა პირველი კლასის მოსწავლეა.

ამბობენ დრო მკურნალიაო, მაგრამ ტყუილია, უფრო ძალიან გვენატრები.

ყველაფერი უფლის ნებაა, ჩვენ ვერაფერს შევცვლით. სწორედ რწმენით ვახერხებ ამ ტკივილიანი დღეების გატანას. მამა ხომ ნაიყვანე, შვილო, შენთან, ახლა მეც ნაიყვანე, მინდა გულში ჩაგიკრა და მოგეფერო.

შენს ძმას და რძალსაც ძალიან ენატრები, შენი ძმისშვილები შენს ნატვრაში არიან, ამბობენ, რა იქნებოდა, გელა ძია ცოცხალი ყოფილიყო და ჩვენც გვენახაო.

ჩვენს მიერ დანთებულმა სათილებმა სასუფეველში მისასვლელი გზა გაგინათოს. მსუბუქი იყოს შენს გულზე დაყრილი მინა. ღმერთმა ნათელში დაგიმკვიდროს სასუფეველი...

შეუსრულებელ 51 წელს გილოცავთ შენი ბუღმოკლული დედა; მეუღლე თამარიკო; შვილები: ნინო, ნანა; სიძეები: რამაზი, მამუკა; შვილიშვილები მარიამი, ლუკა; ძმა ბურაბი; რძალი მზინა; ძმისშვილები: თამუნა, გელა.

შვილები: იაგო და მზია ყოჩიაშვილები; რძალი ლია ხუციშვილი, სიძე გია ბოტკოველი, შვილიშვილები: ანი და გიორგი ყოჩიაშვილები, თამუნა და ანა ბოტკოველები იუნყებიან

ტასიკო თითვაქა ყოჩიაშვილის გარდაცვალებას.

დაიკრძალა 18 თებერვალს, სოფელ ჯაფარიძეში.

ნონა, ლია, ლალი, მაძლარაშვილები, ევგენია ნატროშვილი, გულო პაპაჩაშვილი თანაგრძნობას უცხადებენ იაგო, ლია და მზია ყოჩიაშვილებს დედის

ტასიკო (ანასტასია) თითვაქა-ყოჩიაშვილის გარდაცვალების გამო.



# პანონი და საბჭოთა სიმბოლიკა

(მესამე გვერდიდან)

ახლადრეაბილიტირებული აგურის სვეტები, ადამიანთა მანებლობის

ბჭოური დასახელების ქუჩები, როგორცაა, მაგალითად, 1 მასისა და შრომის ქუჩები. თუკი ახალი

ვრათ საბჭოთა სიმბოლიკები. ახლა პირველი არის გაფრთხილება და შემდეგ არის ჯარიმა 1 000 ლარის ოდენობით. მაგალითად, კომისიამ თუ დაადგინა, რომ ესა თუ ის ადგილი ან სიმბოლო არის აღმოსავლურული და იგი ეწევა კომუნისმის ან ფაშიზმის პროპაგანდას და არ აღმოფხვრება, ამ შემთხვევაში ჯარიმა იქნება. სანქცია სახელმწიფოს ეხება, კერძო პირებს არ ერჩის ეს კანონი. სახელმწიფო ფულით არ უნდა მოხდეს ამ იდეოლოგიების პროპაგანდა. კომისიის დებულებაა დასაწერი და ეხლა ამაზე მიმდინარეობს მუშაობა. ამავე დროს ამ კომისიამ უნდა იმუშაოს ლუსტრაციის საკითხებზე, კომისიამ უნდა აღკვეთოს დანაშაული, რომელიც დაკავშირებულია ტოტალიტარულ იდეოლოგიასთან, ამიტომ მას შეიძლება დაერქვას ანტიტოტალიტარული კომისია“ — განაცხადა ლევან ბერძენიშვილმა.

დაცვლილი ბელადი რას დააშავებს, ისტორიამ თავისი სათქმელი უკვე თქვა. სიმართლე გითხრათ, ამ აკრძალვის არსს ვერ ვხედავ. ბევრი უარყოფითი ჰქონდა იმ პერიოდს, მაგრამ ის უკვე წარსულია და აზრს კარგავს მათზე ან კარგი თქვა, ან ცუდი. კომუნისმის მატარებელმა დიდი ხანია ჩაიარა და არა მგონია, რომ ოდესმე დაბრუნდეს, ამიტომ, ამის განხილვა და აკრძალვები მართებულად არ მიმაჩნია.“

ბევრი რამ მომწონდა, ბევრი ცუდიც ჰქონდა, ახლა ამაზე არ დავინწყებ საუბარს, მაგრამ, რა ვიცი, ახალგაზრდებს უფრო არანაირად არ აინტერესებთ სტალინი და ცხადა, რომ საბჭოთა კავშირს ევროპა ურჩევნიათ, აქედან გამომდინარე არამგონია, დადებითად შეფასდეს... უბრალოდ, ამოჩემებულია ის აზრი, რომ რუსეთი და მათი მონობა აღარავის უნდა, მაგრამ, ჩემი აზრით, არავის არ ვემოწმებთ. თავისუფალი აზრი მაშინაც შეეძლო ადამიანს დაეფიქსირებინა და ახლაც. სტალინის დროს ბევრი უსამართლობა ხდებოდა, მაგრამ ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, მაშინ ამდენად „გახრწნილი“ საზოგადოება არ იყო, ადამიანის შრომასაც აფასებდნენ“.



წყალობით, რამდენჯერმე დაინგრა, სრულებით აღარ გაგვიკვირდება თაბაშირის მომცრო ძეგლმა რატომ ვერ გაუძლო დროს და ადამიანებს. სხვათაშორის, მოულოდნელი „დემონტაჟი“ ადამიანებს რომ არ განეხორციელებინათ და სტალინის ძეგლი ქალაქის მაცხოვრებლებს დღემდე შეგვენარჩუნებინა, ახალი ადმინისტრაციული კოდექსის მიხედვით, მისი განადგურების აუცილებლობა დადგებოდა. არ ვიცი, ეს კარგია თუ ცუდი, მაგრამ ფაქტია, დღეს დემონტაჟის თანხები დაგვეზოგება.

ცვლილებების თანახმად სახელმწიფო საბჭოთა პროპაგანდასაც კრძალავს, თავის მხრივ, ქუჩებისა თუ მოედნების სახელწოდებების შენარჩუნებაც პროპაგანდისტულ ნაბიჯად შეიძლება შეფასდეს. საეკონომიკური რეფორმების კომისიის სანქციებს ქუჩების სახელწოდებებთან დაკავშირებითაც გაატარებს.

როგორც მოსალოდნელი იყო, შეზღუდვების დანესების შემდეგ უკმაყოფილო მოსახლეობაც გამოჩნდა. ფაქტს თელავში საზოგადოება „სტალინელის“ თავმჯდომარეც აპროტესტებს. ამას გარდა, ზოგიერთი შიშობს, ხომ არ მოხდება რიგითი მოქალაქეების დაჯარიმება. კანონპროექტის ერთ-ერთი ინიციატორის ლევან ბერძენიშვილის განცხადებით, კომუნისმის ან ფაშიზმის პროპაგანდისტის სანქციები კერძო პირებს არ დაეკისრებათ, ამდენად, რიგითი მოქალაქეები არ დაჯარიმდებიან:

„ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში შეტანილი ცვლილებების მიხედვით, ადრე იყო რეკომენდაცია, რომ აღმოეფხ-

ვრათ საბჭოთა სიმბოლიკები. ახლა პირველი არის გაფრთხილება და შემდეგ არის ჯარიმა 1 000 ლარის ოდენობით. მაგალითად, კომისიამ თუ დაადგინა, რომ ესა თუ ის ადგილი ან სიმბოლო არის აღმოსავლურული და იგი ეწევა კომუნისმის ან ფაშიზმის პროპაგანდას და არ აღმოფხვრება, ამ შემთხვევაში ჯარიმა იქნება. სანქცია სახელმწიფოს ეხება, კერძო პირებს არ ერჩის ეს კანონი. სახელმწიფო ფულით არ უნდა მოხდეს ამ იდეოლოგიების პროპაგანდა. კომისიის დებულებაა დასაწერი და ეხლა ამაზე მიმდინარეობს მუშაობა. ამავე დროს ამ კომისიამ უნდა იმუშაოს ლუსტრაციის საკითხებზე, კომისიამ უნდა აღკვეთოს დანაშაული, რომელიც დაკავშირებულია ტოტალიტარულ იდეოლოგიასთან, ამიტომ მას შეიძლება დაერქვას ანტიტოტალიტარული კომისია“ — განაცხადა ლევან ბერძენიშვილმა.

გაზეთი „შირაქი“ დაინტერესდა, საბჭოთა სიმბოლიკების მხრივ რა ვითარებაა დედოფლისწყაროს სხვა სოფლებში. ტერიტორიული ორგანოების რწმუნებულები აცხადებენ, რომ ამგვარი სიმბოლიკით ძირითადად კულტურის სახლები და მემორიალები იყო გაფორმებული, რომლებიც ბოლო წლებში მოსახლეობის მიერ მასობრივად განადგურდა.

„შირაქი“ საბჭოთა სიმბოლიკისადმი დედოფლისწყაროელთა დამოკიდებულებითაც დაინტერესდა და ამ საკითხთან დაკავშირებით მოსახლეობას საკუთარი აზრის დაფიქსირება სთხოვა. გაირკვა, რომ მოსალოდნელი ცვლილებების შესახებ ბევრმა სწორედ ჩვენგან შეიტყო.

ნინო ნატროშვილი (სამრეკლოს სკოლის პედაგოგი): „ამ საკითხთან დაკავშირებით ჩემი მოსაზრება ისეთია, რომ არ აქვს დიდი მნიშვნელობა იქნება თუ არა სტალინის ძეგლი და სიმბოლიკა. გარ-

დაცვლილი ბელადი რას დააშავებს, ისტორიამ თავისი სათქმელი უკვე თქვა. სიმართლე გითხრათ, ამ აკრძალვის არსს ვერ ვხედავ. ბევრი უარყოფითი ჰქონდა იმ პერიოდს, მაგრამ ის უკვე წარსულია და აზრს კარგავს მათზე ან კარგი თქვა, ან ცუდი. კომუნისმის მატარებელმა დიდი ხანია ჩაიარა და არა მგონია, რომ ოდესმე დაბრუნდეს, ამიტომ, ამის განხილვა და აკრძალვები მართებულად არ მიმაჩნია.“

ანა გოსტაშვილი (31 წლის) „სტალინის მოღვაწეობა და ზოგად საბჭოთა პოლიტიკა უინტერესოა ჩემთვის, მიმაჩნია, რომ სტალინიზმმა თითქმის მთელი საქართველო გააშინა.“

ბიორგი სულაშვილი (23 წლის): „საბჭოთა სიმბოლიკა არასოდეს მხიბლავდა, მაგრამ ფიქრობ, ამ შემთხვევაში იმდენი რამის დანერგვის აუცილებლობა დადგება, მგონია, რომ არ ღირს. თბილისში ხიდების უმრავლესობას ეს სიმბოლიკა აქვს, რუსთაველის გამზირზე პარლამენტის შენობასაც, ზოგადად ქვეყანაში ბევრ შენობაზე შეინიშნება და საინტერესოა ამ დროს რა გამოსავალს მონახავენ.“

მარი შოშიაშვილი (25 წლის): „მე პირადად, სტალინის პერიოდში

ბიორგი შოშიაშვილი (სტუდენტი): „გააჩნია, რა მიზეზით აიკრძალება. თუ ხალხმა კერპად გაიხადა სტალინი, ნებისმიერი დიქტატორი თუ ხელისუფალი, რა თქმა უნდა, ეს ჩემთვის მიუღებელია. მაგრამ, თუ სტალინს პატივს მიაგებენ, როგორც დიდ ადამიანს, ამ შემთხვევაში არ მესმის, რა არის ამაში ცუდი. თუ ვაჟას, ილიას და სხვა პოეტის, მწერლის თუ სხვა გამოჩენილი ადამიანის ძეგლი დასაშვებია, პირადად ჩემთვის გაუგებარია, რატომ უნდა აკრძალვას საბჭოთა სიმბოლიკა და ძეგლები“.

როგორც „შირაქმა“ გაარკვია, სპეციალურად შექმნილი კომისია ცალკეული მუნიციპალიტეტების გაკონტროლება-დაჯარიმებას მართის თვითნებურად შეუდგება. კახეთის მუნიციპალიტეტების ხელმძღვანელი პირები კი ამბობენ, რომ კონკრეტული მონაცემები არ აქვთ, რომელ სოფლებში რა დოზითაა შემორჩენილი საბჭოთა სიმბოლიკა. თუმცა, მითხოვნის შემთხვევაში, მათი დემონტაჟის მზადყოფნას გამოთქვამენ.

ილია მარტყოფლიშვილი

## უ ლ ო ც ა ვ ე ნ !

### ბიორგი მარტყოფლიშვილს!

გო, ჩვენო უსაცვარლესო ბიჭო, დაბადების დღეს გლოცავთ, 21 თებერვალს 17 წლის გახდები.დაე, ყოველი დაბადების დღე შენთვის იყოს ბედნიერების, სიკეთის, სიხარულის და სიყვარულის მომტანი. მინდა შეგახსენო, რომ რაც მტრობას დაუნგრევია, სიყვარულს უშენებია. ჩაინერგე სიყვარული შენი მამიკოს ახლობლების მიმართ და მამიკოსავით კეთილი და სათნო ადამიანი გამოდი. ასევე მინდა მივულოცო დაბადების დღე შენს ბიძაშვილს მარი მარტყოფლიშვილს. ორივე ბედნიერები და ჯანმრთელები მყავდით. ღმერთი გფარავდეთ.

მარტყოფლიშვილის ოჯახის მთლიანი შამადგანლობა.

### მიხეიკ გურაშვილს!

### მამული პაპაშვილს!

გილოცავთ ნანატრი შვილის, პაპის მოსახლე პატარა ნოდარის დაბადებას, რომელმაც დედის და მამის უნეტარესი გრძნობა განგაცდევინათ. იყავით ბედნიერები, ჯანმრთელები, გახარებულები. პატარა ნოდარს სასახელო ქართველ ვაჟკაცად გაზრდას ვუსურვებთ. ავსებულობის თქვენი ოჯახი ქალვაჟებით. უფლის წყალობა არ მოგკლებოდეთ. მთელი გულით გვიხარია თქვენი სიხარული, გლოცავთ და გავფიქრებთ.

სიყვარულით,

ანა გურაშვილი, შალვა, მირაბიკო და ლანა გურაშვილები

### ლალი წარითაღ-აბაშიძეს!

### თამაზ აბაშიძეს!

სულით და გულით გილოცავთ ქალიშვილის - ირმას ბედნიერებას. მალე მეორე ქალიშვილის - ულამაზესი და უკეთილშობილესი ხათუნას გათხოვებაც მომელოცოს. ბედნიერ ბებიობას და პაპობას გისურვებთ. ახალდაქორწინებულებს ირმა აბაშიძეს და გიზო ვაშაკიძეს ვულოცავთ ბედნიერებას და ჯვრისწერის დღეს. ვუსურვებთ ჯანმრთელობას, დედხანს სიცოცხლეს, გამრავლებას. ღმერთმა ისმინოს და მათ სიცოცხლის მანძილზე გაჰყოლოდეთ ურთიერთისადმი ის სიბო, სიყვარული და პატივისცემა, რაც ჯვრისწერის დღეს განიცადეს.

პატივისცემით, კლარა ოჯახშილი და გუგული ალაღაშვილი

### ი ყ ი დ ე ბ ა !

იყიდება სამოთახიანი კეთილმოწყობილი ბინა თავისი ავეჯით. მისამართი: სტალინის ქუჩა N35, ბინა 7. ტელ: 599 14 29 73. ფასი შეთანხმებით.

## ს ი ა ს ლ ე !

26 თებერვლიდან ქალაქ დედოფლისწყაროში მუშაობას იწყებს ინკუბატორი სპეციალურად იხვის კვერცხის გამოსაჩეკად. ასევე მიიღება ნებისმიერი ფრინველის კვერცხი.

მისამართი: ქალაქი დედოფლისწყარო, კოსტავას ქუჩა N14, კულტურის სახლთან. მისასვლელი-ახალი პოლიციის ან ბაზრის მხრიდან. მსურველებმა დარეკეთ:

579 33 07 41  
555 00 79 16  
557 23 88 99  
790 40 82 15  
იკითხეთ თამაზი.

## ა მ ი ნ დ ი

## დ ე დ ო ფ ლ ი ს წ ყ ა რ ო

ორშაბათი 24.02 დღე ღამე	სამშაბათი 25.02 დღე ღამე	ოთხშაბათი 26.02 დღე ღამე	ხუთშაბათი 27.02 დღე ღამე	პარასკევი 28.02 დღე ღამე	შაბათი 01.03 დღე ღამე	კვირა 02.03 დღე ღამე
3°	-1°	2°	0°	3°	2°	4°

გამომცემელი შპს „შირაქი“ დირექტორი ინგა შიოლაშვილი რედაქტორი ნაირა გორაშვილი-პოპიაშვილი წერილი მოყვანილ ფაქტებსა და ციფრებს პასუხს ავებს ავტორი.	სარედაქციო კოლეგია: ლალი მხრინიშვილი, ილია მარტყოფლიშვილი (ყურნალისტები) ; ულა ხარაშვილი (სტილისტ-მწერელი); ნათია გოსტაშვილი (ბუღალტერი) ; ნინო შანაშვილი (ოფის-მწვეფი) ; მზი მანდაძე (დისტრიბუტორი); ზურაბ გუნაშვილი (კომპიუტერული უზრუნველყოფა). გაზეთი აიწყო და დაკაბდონდა „შირაქის“ კომპიუტერულ პაზაზე. ყოველკვირეული გამოცემა იბეჭდება შ. პ. ს. „სამშობლოს“ სტამბაში.	რედაქციის მისამართი: ქალაქი დედოფლისწყარო, ფროსმანის №18, ტელ. 0 356 22 55-49; 598 72-18-72 (დირექტორი) 591 97-73-26 (რედაქტორი)	რეგისტრირებულია დედოფლისწყაროს რაიონის სასამართლოს მიერ, №6014-468.
---	--	--	---